პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 172 (5273) | პარასკევი, 29 ივლისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-46 მუხლის შესაბამისად მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1938 წლის 10 აგვისტოს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 26 ივლისი.



ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადი მოსკოვში წითელ მოედანზე 1938 წ. 24 ივლისს.
სურათზე: სასპორტო საზოგადოების „სტრელას“ (მეტროს მშენებლები) ფიზკულტურელთა კოლონა პარადზე
ფოტო ნ. კუბიევის („სოიუზფოტო“)

ბოლშევიკურად დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

ლენინ-სტალინის პარტიას აქვს კომუნიზმისათვის ბრძოლებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების შესანიშნავი გამოცდილება, რომელზეც სწავლობს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხი, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, სწავლობენ და იყენებენ რა ამ მდიდარ ისტორიულ გამოცდილებას, ყოველდღიურად აუმჯობესებენ პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ მუშაობას, ყოველდღიურად აღწევენ ახალ-ახალ გამარჯვებებს. პარტიული ორგანიზაციები, სწავლობენ და იყენებენ რა ამ მდიდარ გამოცდილებას, ზრდიან პარტიულებს, ზრდიან მუშაკებს მტრებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებაზე, ლენინ - სტალინის საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების საფუძველზე. პარტიული ორგანიზაციები ამ მუშაობის პროცესში თვით იგროვებენ მდიდარ გამოცდილებას, რომლის ურთიერთგაზიარებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ თბილისის საწარმოთა მოწინავე პარტორგანიზაციების პარტკომების მდივნების წერილებმა თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში. ჩვენ ვწერდით, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ინიციატივით თბილისის რაიონის საწარმოთა და კოლმეურნეობათა მრავალ პირველად პარტორგანიზაციაში დაკვირვებით გაეცნენ თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობას და მიიღეს სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი. ჩვენ ვწერდით, რომ პირველადმა პარტორგანიზაციებმა გამოსთქვეს სურვილი ადგილებზე გასცნობოდნენ მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობას, რისთვისაც თვითეულ ორგანიზაციაში გამოჰყვეს ორი-სამი აქტივისტი.

ეს აქტივისტები ორი დღის განმავლობაში — 26 და 27 ივლისს — ეცნობოდნენ თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობას. თუ რა შეიძინეს მათ, რა უნდა გადაეტანონ პირველ რიგში თავიანთ ორგანიზაციებში, ამის შესახებ ისინი მოკლედ მოგვითხრობენ დღეს ჩვენს გაზეთში.

რა მთავარი საკითხებით იყო აქტივი დაინტერესებული? რა შეისწავლეს ადგილებიდან ჩამოსულმა პარტიულმა მუშაკებმა?

ძათ შეისწავლეს ახალი აქტივის აღზრდის, დასაწინაურებელი კადრების შერჩევის, რეზერვის მომზადების საკითხები. საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ბერიამ თავის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება კადრების აღზრდის საკითხზე. თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციებმა უკვე გაშალეს მუშაობა ამხანაგ ლ. ბერიას ამ მითითების განსახორციელებლად. ამ მუშაობის მეთოდები და ხერხები დაწვრილებით შეისწავლეს და მოიწონეს ჩამოსულმა ამხანაგებმა.

კადრების აღზრდის საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია პარტიული განათლების საქმის გაუმჯობესების, ბოლშევიზმის დაუფლების საკითხი. აქტივი გაეცნო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას ამ დარგში. ჩამოსულ ამხანაგებს განსაკუთრებით მოეწონათ ის, რომ აქ უარყოფილია მსმენელებისადმი ზოგადი მიდგომა, შაბლონი. ასევე მოიწონა აქტივმა პარტიული კაბინეტი, რომელიც აქ ნამდვილად არის გადაქცეული პროპაგანდისტული მუშაობის კერად.

აქტივი დაინტერესებული იყო პარტიის ზრდის, პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის, პარტიის რეზერვის აღზრდის საკითხებით. 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციას კანდიდატებისათვის სპეციალურად აქვს ჩამოყალიბებული პროგრამისა და წესდების შემსწავლელი წრე. კანდიდატს დაევალება პარტიის წევრებთან ერთად ეძლევა. პარტიის წევრი კანდიდატს ეხმარება ამ დავალების შესრულებაში. ეწყობა თეორიული კონფერენციები და სხვ. ამის შედეგად გაიზარდა კანდიდატთა აქტივობა.

აქტივი გაეცნო საავიტაციო-მასობრივი მუშაობის მეთოდებს თბილისის საწარმოებში. განსაკუთრებით მოიწონეს მათ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციების მუშაობა ამ დარგში. ორგანიზებულობა და აგიტატორთა ისე მომზადება, რომ მათ საინტერესოდ ჩაატარონ საუბარი, აი რას მიაღწიეს ამ ქარხნების პარტორგანიზაციებმა, აი რას უნდა მიაღწიოს ყველა კოლმეურნეობის, ყველა ქარხნის პარტორგანიზაციამ.

აქტივი გაეცნო, თუ როგორ ათავებენ პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციები, როგორ ზრდიან ისინი სტახანოველებს, როგორ აწარმოებენ მავნებლობის შედეგების აღმოფხვრას.

ამრიგად, აქტივი საფუძვლიანად, დაწვრილებით გაეცნო თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობას. ჩვენს რედაქციაში გამართულ თათბირზე ამხანაგებმა აიღეს ვალდებულება — დაბრუნებისთანავე გაშალონ მუშაობა თავიანთ პარტორგანიზაციებში მოწინავეთა გამოცდილების დასანერგავად.

რა ამოცანებია ახლა ჩვენს წინაშე გამოცდილების ურთიერთგაზიარების დარგში? რას ნიშნავს ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების გაზიარების საქმე?

ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების ურთიერთგაზიარების საქმე, ეს, პირველყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ პარტორგანიზაციები ხშირად ეცნობოდნენ ერთმანეთის მუშაობას, რათა ამ საქმეს არ მისცენ კამპანიური, გარდამავალი ხასიათი.

ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების გაზიარების საქმე, ეს, მეორე მხრით, ნიშნავს იმას, რომ ნამდვილად ბოლომდე გაატარო საქმისათვის საჭირო ყველა დადებითი ღონისძიება, რაც სხვა პარტორგანიზაციების მუშაობის გაცნობით გაიგე და შეისწავლე. ამ მხრივ თბილისის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები მხოლოდ იწყებენ საქმეს. მათ შეისწავლეს მოწინავეთა საქმიანობა. ახლა შესწავლილი საქმედ უნდა აქციონ.

ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების გაზიარების საქმე, ეს, დასასრულ, ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ რამდენიმე პარტორგანიზაცია, არამედ რესპუბლიკის პარტორგანიზაციები, რათა გამოცდილების გაზიარება ნამდვილად იქცეს პარტიული მუშაობის შეუჩერებელი აღმავლობის მძლავრ იარაღად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონის პარტმუშაკები „კომუნისტის“ რედაქციაში

27 ივლისს, საღამოს, „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონის პარტიული მუშაკების შეხვედრა „კომუნისტის“ მუშაკებთან.

თათბირს დაესწრო 30 აქტივისტი — მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან, ქსნის ადგურ - კრამიტის ქარხნისა, ავჭალის ლ. ბერიას სახელობის, ორთაჭალის ფ. მახარაძის და სოფ. მარტყოფის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობებიდან.

„კომუნისტის“ რედაქტორმა ამხ. ვ. ხატიაშვილმა თათბირს გააცნო თბილისის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ სოფელ მარტყოფის კოლმეურნეობის პარტორგი ამხ. ქახურაშვილი, მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე მგალობლიშვილი, ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი ამხ. გ. აბაზოვი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი ქ. ბერიტაშვილი, ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ბ. კვანტალიანი, ქსნის ადგურ - კრამიტის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. შალიბაშვილი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ინსტრუქტორები გვილავა, მიგინეშვილი და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აცნობოდნენ თბილისის მოწინავე პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების გაცნობით.

მათ გამოსთქვეს სურვილი, რომ დამყარდეს მჭიდრო კავშირი მოწინავე პარტიულ ორგანიზაციებთან, ხდებოდეს რაიონის პროპაგანდისტების დასწრება თბილისის ორგანიზაციების პოლიტწრეების მეცადინეობაზე, ეწყობოდეს დიდი საწარმოო ორგანიზაციების პარტორგების ჩასვლა რაიონში გამოცდილების ადგილზე გასაზიარებლად და სხვ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლეკიშვილი, რომელმაც აღნიშნა სერიოზული მნიშვნელობა თბილისის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გაზიარებისა და თათბირს გააცნო, რომ ამ მიმართულებით პარტრაიკომი გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს.

30 ივლისი რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო დღეა

რბოლებრივი სვლა ელექტროფიცირებულ უბანზე

ბაშურის ლ. ბერიას სახელობის ელექტროდეპოს საუკეთესო კრივონოსელთა ინიციატივით ელექტროფიცირებულ უბანზე თბილისი—ბაშური 24 ივლისიდან დაწესებულია ელექტრომატარებელთა რგოლებრივი სვლა. რგოლებრივი სვლაში მუშაობას ამ დარგში. ჩამოსულ ამხანაგებს განსაკუთრებით მოეწონათ ის, რომ აქ უარყოფილია მსმენელებისადმი ზოგადი მიდგომა, შაბლონი. ასევე მოიწონა აქტივმა პარტიული კაბინეტი, რომელიც აქ ნამდვილად არის გადაქცეული პროპაგანდისტული მუშაობის კერად.

აქტივი დაინტერესებული იყო პარტიის ზრდის, პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის, პარტიის რეზერვის აღზრდის საკითხებით. 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციას კანდიდატებისათვის სპეციალურად აქვს ჩამოყალიბებული პროგრამისა და წესდების შემსწავლელი წრე. კანდიდატს დაევალება პარტიის წევრებთან ერთად ეძლევა. პარტიის წევრი კანდიდატს ეხმარება ამ დავალების შესრულებაში. ეწყობა თეორიული კონფერენციები და სხვ. ამის შედეგად გაიზარდა კანდიდატთა აქტივობა.

აქტივი გაეცნო საავიტაციო-მასობრივი მუშაობის მეთოდებს თბილისის საწარმოებში. განსაკუთრებით მოიწონეს მათ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციების მუშაობა ამ დარგში. ორგანიზებულობა და აგიტატორთა ისე მომზადება, რომ მათ საინტერესოდ ჩაატარონ საუბარი, აი რას მიაღწიეს ამ ქარხნების პარტორგანიზაციებმა, აი რას უნდა მიაღწიოს ყველა კოლმეურნეობის, ყველა ქარხნის პარტორგანიზაციამ.

აქტივი გაეცნო, თუ როგორ ათავებენ პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციები, როგორ ზრდიან ისინი სტახანოველებს, როგორ აწარმოებენ მავნებლობის შედეგების აღმოფხვრას.

ამრიგად, აქტივი საფუძვლიანად, დაწვრილებით გაეცნო თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობას. ჩვენს რედაქციაში გამართულ თათბირზე ამხანაგებმა აიღეს ვალდებულება — დაბრუნებისთანავე გაშალონ მუშაობა თავიანთ პარტორგანიზაციებში მოწინავეთა გამოცდილების დასანერგავად.

რა ამოცანებია ახლა ჩვენს წინაშე გამოცდილების ურთიერთგაზიარების დარგში? რას ნიშნავს ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების გაზიარების საქმე?

ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების ურთიერთგაზიარების საქმე, ეს, პირველყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ პარტორგანიზაციები ხშირად ეცნობოდნენ ერთმანეთის მუშაობას, რათა ამ საქმეს არ მისცენ კამპანიური, გარდამავალი ხასიათი.

ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების გაზიარების საქმე, ეს, მეორე მხრით, ნიშნავს იმას, რომ ნამდვილად ბოლომდე გაატარო საქმისათვის საჭირო ყველა დადებითი ღონისძიება, რაც სხვა პარტორგანიზაციების მუშაობის გაცნობით გაიგე და შეისწავლე. ამ მხრივ თბილისის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები მხოლოდ იწყებენ საქმეს. მათ შეისწავლეს მოწინავეთა საქმიანობა. ახლა შესწავლილი საქმედ უნდა აქციონ.

ბოლშევიკურად დააყენო გამოცდილების გაზიარების საქმე, ეს, დასასრულ, ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ რამდენიმე პარტორგანიზაცია, არამედ რესპუბლიკის პარტორგანიზაციები, რათა გამოცდილების გაზიარება ნამდვილად იქცეს პარტიული მუშაობის შეუჩერებელი აღმავლობის მძლავრ იარაღად.

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

კიევი, 26 ივლისი (საკ.სეს.). დღეს დილის 11 საათზე გაიხსნა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მეორე სხდომა.

კიევის, დნეპროპეტროვსკის, ოდესის, პოლტავის ოლქების დეპუტატთა ჯგუფის სახელით, დეპუტატ ი. მ. მარტინენკოს შეაქვს წინადადება, რათა შეიქმნას მუდმივად მოქმედი საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია. სესია ერთხმად ირჩევს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას 11 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ ირჩევენ დეპუტატ ნ. ტ. კალჩენკოს ოდესის ოლქის არბუზინის ოკრუგიდან.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ პ. მ. ლიუბავინს ვოროშილოვგრადის, ნიკოლაევისა და ჟიტომირის ოლქთა დეპუტატების ჯგუფის სახელით. მას შეაქვს წინადადება მუდმივად მოქმედი საბიუჯეტო კომისიის შექმნის შესახებ. სესია ერთხმად ირჩევს საბიუჯეტო კომისიას 13 კაცის შემადგენლობით. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი კ. ს. კარავაევი.

მოხსენებისათვის უკრაინის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში (ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ სიტყვა ეძლევა დეპუტატს კიევის ოლქის ბროვარის ოკრუგიდან ვ. ფ. სტარჩენკოს.

მოხსენების დამთავრების შემდეგ იწყება კამათი. პირველი გამოდის პ. ი. შპილევოი, დეპუტატი სტალინის ოლქის ვოლნოვახის ოკრუგიდან. იგი თავისი ოლქის მაგალითით უჩვენებს, თუ რამდენად სწორი გამოდგა დონეცის ოლქის გაყოფა სტალინისა და ვოროშილოვგრადის ოლქებად.

იგი ლაპარაკობს ახალი, სოციალისტური დონბასის ზრდაზე. ლაპარაკობს, იმაზე, რომ დონბასში გაიზარდნენ სტალინის ეპოქის მშვენიერი ადამიანები, შრომის ახალი ფორმების ინიციატორები — სტახანოვი, იზოტოვი, კრივონოსი, დიუკანოვი, ანგელინა. ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის დამსწრე დეპუტატებს შორის ბევრია დონბასელი წარჩინებული ადამიანი.

დეპუტატები ნ. ტ. კალჩენკო და ტ. ა. კონსტანტინოვი აგრეთვე მხარს უჭერენ დეპუტატ სტარჩენკოს წინადადებას. უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ბურმისტენკო გადადის უკრაინის სს რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ცვლილებათა და დამატებათა მუხლობრივ კითხვასა და კენჭისყრაზე.

ყველა წინადადება ამ საკითხის შესახებ ერთხმად არის მიღებული სესიის მიერ.

შემდეგ ამხ. ბურმისტენკო აცხადებს, რომ სესიის სახელზე მოსულია მრავალრიცხოვანი მისასალმებელი დეპეშები მუშებისა და კოლმეურნეების, კიევის, ხარკოვის, სტალინის, ოდესის, კამენეც-პოდოლსკის და უკრაინის სხვა ქალაქების მეცნიერთა კრებებისაგან.

ამით უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მეორე სხდომა სწყდება 27 ივლისის 11 საათამდე.

○

კიევი, 27 ივლისი (საკ.სეს.). დღეს დილით შესდგა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მესამე სხდომა. სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. ს. სპივაკის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში ყველა 304 საარჩევნო ოლქში ჩატარდა უკრაინის სსრ კონსტიტუციისა და „უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ საფუძველზე და მათთან სრული შესაბამისობით.

— ყველა დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ძლიერი, უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატია, — ამბობს ამხ. სპივაკი. არჩევნები უკრაინელი ხალხის ძლიერებას, ერთიანობისა და ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა საყვარელი და ბრძენი ბელადის დიდი სტალინის გარშემო დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

მთელი უკრაინელი ხალხი, — ამბობს მომხსენებელი, — ამაყობს იმით, რომ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შორის არის საყოველთაო-სახალხო რჩეული, სოციალისტურ გამარჯვებათა შემოქმედი — საყვარელი სტალინი.

ამ სიტყვებზე სესიის მონაწილენი ერთი გრძნობით გამსჭვალულნი, ფეხზე დგებიან და მჭუხარე ოვაციას მართავენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედის — მშობლიური სტალინის პატივსაცემად.

მომხსენებელს მოჰყავს უაღრესად საინტერესო ციფრები უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის შესახებ. კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის რჩეულთა შორის პარტიის წევრია 222 და უპარტიო 82.

დეპუტატ მ. ს. გრეჩუხის წინადადებით, სესია ერთხმად ამტკიცებს სარედაქტო კომისიის მოხსენებას.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ სესია გადადის საკითხზე დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან.

ვინნიცის, ჩერნიგოვის, პოლტავისა და ჟიტომირის ოლქების დეპუტატთა ჯგუფის სახელით, დეპუტატ სოფრონოვს შეაქვს წინადადება დეპუტატებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის მოვალეობათა შესრულებასთან. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა.

ამით დამთავრდა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მესამე სხდომა.

◇ ◇ ◇

ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

მინსკი, 26 ივლისი (საკ.სეს.). ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მესამე სხდომა 26 ივლისს საღამოს მიეძღვნა კამათს დეპუტატ ა. ვ. ერმაკის მოხსენების გამო ბელორუსიის სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

დეპუტატებმა ა. პ. მატვეევმა — მინსკის ლენინის საარჩევნო ოლქიდან და ე. ს. სანინმა—ჭალ. ვიტებსკის ვაგზლის საარჩევნო ოლქიდან მინსკისა და ვიტებსკის ოლქების მაგალითზე ცხადჰყვეს, თუ რამდენად სწორი გამოდგა 5 ოლქის შექმნა რესპუბლიკაში. ოლქების შექმნამ შესაძლოდ გახადა სოციალისტური მშენებლობის უფრო კონკრეტულად ოპერატულად ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ქალაქებსა, რაიონებსა და სოფლებში, მოსახლეობის ფართო მასების მოთხოვნილებათა გაცილებით უფრო კარგად დაკმაყოფილება.

დეპუტატ ა. ვ. ერმაკის წინადადებებს მხარი დაუჭირა აგრეთვე დეპუტატმა ნოვო-ბორისოვკის საარჩევნო ოლქიდან ი. ა. ზახაროვმა.

დეპუტატ ერმაკის მიერ შეტანილი ყველა წინადადება სესიამ ერთხმად მიიღო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა

26 ივლისს შესდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განიხილა და მოიწონა პროექტი **„დებულებისა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ“**, დამუშავებული კომისიის მიერ ამხანაგ მოლოტოვის თავმჯდომარეობით.

დღევანდლამდე საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით გამოცემული იყო მხოლოდ „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლები“ 1924 წლის 29 ოქტომბრის თარიღით; ხოლო დეტალურ კანონებს სასამართლო წყობილების შესახებ სცემდნენ მოკავშირე რესპუბლიკები. როგორც საერთო-საკავშირო საფუძვლები, ისე დებულებანი მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ შეიქმნენ და არ შეესაბამებიან სტალინურ კონსტიტუციას, რომლის თანახმად კანონმდებლობა სასამართლო წყობილების შესახებ ერთიანი უნდა იყოს მთელი სსრ კავშირისათვის. ძველი კანონები სასამართლო წყობილების შესახებ ითვალისწინებდნენ სახალხო მოსამართლეების არჩევას რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ, მაშინ როცა ახალი კონსტიტუციით სახალხო სასამართლოებს ირჩევენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ძველი კანონებით ზემდგომი სასამართლოები ანხორციელებდნენ სასამართლო მმართველობის ფუნქციებს ქვემდგომი სასამართლოების მიმართ. არც ეს შეესაბამება ახალი კონსტიტუციის სულს. ძველი კანონები შესაძლებლობას იძლეოდნენ—სასამართლოთა განჩინებანი და გადაწყვეტილებანი, რომლებიც შესული იყვნენ კანონიერ ძალაში, გადასინჯულიყო მრავალრიცხოვანი ინსტანციების მიერ, რაც იწვევდა საქმის გაჭიანურებას და საჭირო სიმკაცრეს უკარგავდა სასამართლოს განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს.

სახკომსაბჭოს მიერ მოწონებული პროექტი დებულებისა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ განსაზღვრავს სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე მართლმსაჯულების ამოცანებსა და მთელი სასამართლო სისტემის ორგანიზაციას.

თანახმად პროექტისა, მართლმსაჯულება სსრ კავშირში თავის ამოცანად ისახავს დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან: ა) სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, დამყარებული სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება; ბ) სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებანი და ინტერესები, გარანტირებულნი სსრ კავშირის კონსტიტუციით და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით; გ) სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებანი და ინტერესები. მართლმსაჯულება სსრ კავშირში თავის მოკლედ ისახავს საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების უზრუნველყოფას სსრ კავშირის ყველა დაწესებულების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ.

მოსამართლენი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან (სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხლი 112).

მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეუძლია იყოს ყველა მოქალაქე, რომელიც კი საარჩევნო უფლებით სარგებლობს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-111 მუხლის შესაბამისად, საქმის გარჩევა სსრ კავშირის ყველა სასამართლოში ღიაა, რამდენადაც კანონით გამონაკლისები არ არის გათვალისწინებული, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფით.

ყველა სასამართლოს განაჩენები, გადაწყვეტილებანი, დადგენილებანი, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსი და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, შეიძლება კანონის მიერ დადგენილი წესით გასაჩივრებულ იქნან მსჯავრდადებულების, მათი დამცველების, მაძიებლების, მოპასუხეებისა და მათი ინტერესების წარმომადგენლების მიერ, ან გაპროტესტებულ იქნან პროკურორის მიერ ზემდგომ სასამართლოში, რომელიც, საქმეში არსებული და მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ამოწმებს, თუ რამდენად კანონიერი და დასაბუთებულია ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება. სასამართლოს განაჩენები, გადაწყვეტილებანი და დადგენილებანი, რომლებიც კი შესულია კანონიერ ძალაში, შეიძლება გაპროტესტებულ იქნას მხოლოდ სსრკ პროკურორის ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ სსრკ უმაღლეს სასამართლოში ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, კუთვნილებისამებრ.

პროექტი ითვალისწინებს სახალხო სასამართლოების, საქმარეო, საოლქო, საოკრუგო სასამართლოების, ავტონომიურ ოლქთა სასამართლოების, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების, სსრკ სპეციალური სასამართლოების (სამხედრო ტრიბუნალების, რკინიგზის ტრანსპორტის სახალხო სასამართლოების, წყლის ტრანსპორტის სახალხო სასამართლოების) და სსრკ უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესსა და ორგანიზაციას.

პროექტი შეტანილი იქნება სსრკ უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიის დასამტკიცებლად.

შემდეგ, სსრკ სახკომსაბჭომ განიხილა **მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის საკითხი.**

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა, რომელმაც უნდა მოგვცეს სახელმწიფო მმართველობისათვის და სახალხო მეურნეობის დაგეგმისათვის საჭირო ზუსტი მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის, მისი სოციალური, პროფესიული, ნაციონალური, ასაკობრივი შემადგენლობისა და კულტურული დონის შესახებ და ასახოს სოციალიზმის დიად გამარჯვებათა შედეგები, — წარმოადგენს დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის საქმეს. სსრკ სახკომსაბჭომ 1937 წლის 6 იანვარს ჩატარებული აღწერის შედეგები დეფექტურად სცნო, იმის გამო, რომ აღწერა სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ ჩატარებულ იქნა სტატისტიკური მეცნიერების ელემენტარული საფუძვლების უარყოფით უხეში დარღვევით, აგრეთვე მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების დარღვევით.

სახკომსაბჭომ დაადგინა—მოსახლეობის ახალი სრულიად-საკავშირო აღწერა ჩატარდეს 1939 წლის 17 იანვარს.

აღწერილ უნდა იქნას მთელი არსებული მოსახლეობა, მათ შორის დროებითი მცხოვრებნიც. გარდა ამისა, აღიწერებიან დროებით არყოფნი, ინსტრუქციით დადგენილი წესისამებრ.

აღწერას ჩაატარებენ სპეციალურად მომზადებული აღმწერები საქალაქო დასახლებულ ადგილებში 1939 წლის 17-დან 23 იანვრამდე, ხოლო სასოფლო ადგილებში 1939 წლის 17-დან 26 იანვრამდე.

სსრკ სახკომსაბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „მოსახლეობის 1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ“ დღეს ქვეყნდება გაზეთებში.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა აგრეთვე აღწერის ფურცლის ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის ამხ. მ. დ. ბერმანის საანგარიშო მოხსენება **კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ** და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესამოწმებლად ეკონომიური საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარის ამხ. რ. ს. ზემლიაჩკას თანამოხსენება.

მეორე ხუთწლედის მანძილზე კავშირგაბმულობის მეურნეობაში დიდ კაპიტალდაბანდებათა მეოხებით, ჩვენი ქვეყნის კავშირგაბმულობის განვითარების დონე, მიუხედავად იმ მავნებლობისა, რასაც ადგილი ჰქონდა კავშირგაბმულობის ორგანოებში, ამ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გაიზარდა. კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკური შეჭურვა გაუმჯობესდა. კავშირგაბმულობის ძირითად საშუალებათა ღირებულება 1933 წლიდან 1938 წლამდე ერთი-სამად და უფრო მეტად გადიდდა. ტელეგრაფ-ტელეფონის სადგურთა სიგრძე თითქმის ეროთ-ორად გადიდდა. ტელეფონიზებულია 76,5 ათასი სასოფლო საბჭო ანუ 75 პროცენტზე მეტი და მ.-ხ.ქსანა-ტრაქტორთა სადგუროების 84 პროცენტი.

კავშირგაბმულობის მუშაკთა შორის გაიზარდა კავშირგაბმულობის ოსტატ-სტახანოველთა ახალი კადრები. რამდენადმე გაუმჯობესდა კავშირგაბმულობის არსებულ საშუალებათა გამოყენება კავშირგაბმულობის ტექნიკაში გაუმჯობესებისათვის შეტანის გზით (ამხ. პავლოვ

ბაქოს პროლეტარიატის გაფიცვის 35 წლისთავი

35 წლის წინათ 1903 წლის 14 ივლისს დიდი სტალინის მიერ შექმნილი და რევოლუციურ ბრძოლებში გამოწრთობილი ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაიწყო ბაქოს სამრეწველო პროლეტარიატის გრანდიოზული გაფიცვა.

წინა პერიოდში მომხდარ გაფიცვებიდან 1903 წლის ივლისის გაფიცვა განირჩეოდა იმით, რომ ის იყო უკეთ ორგანიზებული და მჭიდროდ დაკავშირებული როგორც ამიერ-კავკასიის მუშებთან, ისე რუსეთის პროლეტარიატთან.

1900-იანი წლებიდან დაწყებულ სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით, რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბაქოს კომიტეტმა დიდი სტალინისა და ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით გააძლიერა პოლიტიკური აგიტაცია და პროპაგანდა მშრომელ მასებში, განსაკუთრებით ნავთის სარეწაოების, რკინიგზისა და სხვა წარმოებათა მუშებს შორის.

გაფიცული მუშები აყენებდნენ როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურ მოთხოვნებს.

ამის შესახებ ბაქოს გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მიმოწერებში სწერია:

„საქმეთა ვითარება ძალიან მძიმე და თავისი არსებით ფრიად სერიოზული იყო.

ქ. ბაქოში ერთდაიმავე დროს გაფიცნენ ყველა ფაბრიკის, ქარხნის, ნავთის სარეწაოთა მუშები და ხელოსნები „ბიბი-ეიბათში“, „ბალახანაში“, „საბუნჩინოში“ და „რომანაში“, გაიფიცა ტრამვაი და სრულებით შესწყვიტა მოძრაობა.

მთელი ბაქო კონკის მხრით მოუშსახურებელი დარჩა. გაფიცულ მუშათა და ხელოსანთა რიცხვმა შეადარებით დიდ რაოდენობას მიაღწია.

ბაქოსა და მის მიდამოებში იმავდროულად გაფიცული იყო მუშებისა და ხელოსნების 30.000-იანი არმია. ეს იყო ნამდვილი არმია, გაერთიანებული მოთხოვნებისა და სურვილების, მიზნებისა და ამოცანების ერთიანობით, რაც მათ უკარნახეს პოლიტიკურმა აგიტატორებმა სხვადასხვაგვარი მოწოდებებისა და პროკლამაციების მსაზრივად გავრცელებით“. (იხ. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის საარქივო მასალები, საქმე № 93).

იმდენად ძლიერი და ერთსულოვანი იყო ბაქოს მუშების გაფიცვა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია და თვით ბაქოს გარნიზონის მთელი შემადგენლობა უძლური აღმოჩნდა, რომ გამკვლავებოდა გაფიცულებს.

გაფიცულები ელვის სისწრაფით ავრცელებდენ მშრომელ მოსახლეობაში მოწოდებებსა და პროკლამაციებს.

მოსახლეობის მშრომელი ფენები დიდი აღტაცებით კითხულობდნენ პროკლამაციებს და აჩაღებდენ ბრძოლას არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, პროკლამაციაში მოხაზული საბრძოლო ამოცანების საფუძველზე. რსდმპ კავკასიის კავშირის ბაქოს კომიტეტის მიერ გამოცემულ პროკლამაციაში აღნიშნულია:

„გაფიცვა საოცარ წარმატებებს აღწევს. ბაქოს და ბალახანის მთელი ნავთის მრეწველობა ჩაკვდა. საცეცხლურები არ ბოლავს, ქარხნებში ბურღვა და ამოკასრვა აღარ სწარმოებს. საქონლის მატარებლები გაჩერდნენ და გაფიცვა მოედო მთელ ხაზს ბაქოდან ბათუმამდე. კონკა აღარ დადის. მოსული გემების კომანდები დაუყოვნებლივ გაფიცვას ემხრობიან. გაფიცვა სულ უფრო და უფრო ეძლება წვრილ საწელოსნოებს; გაფიცული არიან მღებავები, მეჩექმეები და სხვ. სტამბები გაჩერებულია და გაზეთები არ გამოდის. ადგილ-ადგილ ნოქრებიც კი სტოვებენ სამუშაოს. აზრი შრომის ყველა ადამიანის ინტერესთა სოლიდარობისა—პროფესიისა და ეროვნების განურჩევლად, ყველა მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის დიადი იდეა მოსდებია პროლეტარიატის ყველაზე განვითარებულ, ყველაზე დახავსებულ ფენებს. მთელი მუშური მოსახლეობა გამსჭვალულია არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით.

ჩვენ მოვითხოვთ გაფიცვის დროს დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას. ჩვენ მოვითხოვთ თვითნებური ჩხრეკის შეწყვეტას, რაც ხდება ბალახანის ქუჩებში და ფაბრიკებსა და ქარხნებში სამუშაოდან წასვლის დროს; ჩვენ მოვითხოვთ 8 საათის სამუშაო დღის ყოველ შემთხვევაში (ვლადი მუშებისთვის); ჩვენ მოვითხოვთ საღ ბინებს. ამ მოთხოვნებზე ჩვენ ხელს არ ავიღებთ და ჩვენ მათ განხორციელებას მივაღწევთ. კიდევ რამდენიმე დღე საყოველთაო გაფიცვისა და გამარჯვება ჩვენია!

ამხანაგებო! დაიცავით ამხანაგები ცემა-ტყეპისგან, გამოგლიჯეთ ისინი ხელიდან სასტიკ ჯალათებს!

გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას!!!

1903 წ. 8 ივლისი. (იხ. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საარქივო მასალები, პროკლამაციების ფონდი).

კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ ჩატარებული უაღრესად კონსპირატიული, მეფის თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მუშაობის შედეგად 1903 წლის 14 ივლისს (ძვ. სტილით) საყოველთაო გაფიცვა მოედო მთელ ამიერ-კავკასიას, ბაქოს, თბილისს, ბათუმს, ფოთს, ხაშურს და სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებს.

14 ივლისს დაწყებული საყოველთაო გაფიცვის შეჩერება ვერ შეძლო ვერც ჟანდარმერიის და ვერც ყაზახთა მიერ მიღებულმა სანგრგბო ზომებმა. იგი სულ უფრო და უფრო გაფართოვდა, გასცილდა ამიერ-კავკასიის საზღვრებს და გავრცელდა მთელ სამხრეთ რუსეთზე. სახალხო მეელვარებამ ფართო ხასიათი მიიღო 1903 წლის აგვისტოში როგორც ბაქოში, თბილისში და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებში, ისე ოდესაში, კიევში, ნიკოლაევში და სხვაგან.

ამხანაგი ლ. პ. ბერია ბაქოს გაფიცვის მნიშვნელობის შესახებ თავის წიგნში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, აღნიშნავს:

„ბაქოს გაფიცვა გახდა რევოლუციური აღმავლობის დასაწყისად ამიერ-კავკასიაში.

ბაქოს გაფიცვა შეეძინა „მთელ რუსეთში იანვარ-თებერვლის განთქმულ გამოსვლათა სიმღერა“ (სტალინი).

ი. მელქაძე

ქრონიკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველად დაამტკიცა ამხ. მარიამ ყარამანის ასული ნანეიშვილი.

რკინიგზელთა სვალიწური დღისათვის

ი. სვანაძე

ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტ-განყოფილების უფროსი, საქ. სსრ უმაღ. საბჭოს დეპუტატი

30 ივლისს რკინიგზელთა საკავშირო დღეა, ის დღე, როდესაც მშრომელთა დიდმა ბელადმა, საყვარელმა ამხანაგმა **სტალინმა** რკინიგზელთა ისტორიულ მიღებაზე კრემლში, თავის ისტორიულ სიტყვაში მიგვითითა რკინიგზის ტრანსპორტის გამარჯვების გზებზე.

ამხანაგმა სტალინმა აღაფრთოვანა რკინიგზელები რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

ამიერ-კავკასიის რკინიგზას, რომელიც მომსახურებას უწევს სამ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკას — საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამ სამი მოძმე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

ხალხის საზიზღარი მტრები, ითვალისწინებდნენ რა რკინიგზის ტრანსპორტის—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ამ ძირითადი ნერვის მთელ მნიშვნელობას, ეწეოდნენ მავნებლობას და ყოველნაირად ცდილობდნენ შეეფერხებინათ ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაობა.

მაგრამ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების დახმარებით, პროლეტარიატის ამოწვდილმა მახვილმა — შინსახკომის სახელოვანმა ორგანოებმა გაანადგურეს ძირითადი ფაშისტური, ჯაშუშური ბუდეები ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე, ამჟამად ხდება მათი ნაბოლარების ლიკვიდაცია.

რკინიგზაზე ამჟამად დაწინაურებულია ხელმძღვანელ პოსტებზე პატიოსანი, **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისადმი ერთგული 100 მუშაკი. მთელი რიგი დაწინაურებული ამხანაგები ხელმძღვანელობის ბოლშევიკური ნიმუშებს იძლევიან. მათმა დაწინაურებამ ჩვენს გზაზე სათანადო შედეგები გამოიღო.

ამიერ-კავკასიის რკინიგზამ 1938 წლის პირველ ნახევარში სასახელოდ შეასრულა სახელმწიფოს მიერ მიცემული გეგმა ნავთის პროდუქტების გადაზიდვისა და მშრალი ტვირთების დატვირთვისა. წლის პირველ ნახევარში დღეღამეში საშუალოდ ივსებოდა 1.160 ცისტერნი, რაც დავალებული ნორმის 103 პროცენტს შეადგენს.

მშრალი ტვირთები დღეღამეში საშუალოდ იტვირთებოდა 1.575 ვაგონი — ნორმის 108,8 პროცენტი. ამ ხნის განმავლობაში ვაგონთა საშუალო სადღეღამისო გავსებამ და დატვირთვამ, რაც იანვარში 2.611 ვაგონს შეადგენდა, ივნისში 3.098 ვაგონს მიაღწია.

საყვარელი სახკომის **ლ. მ. კაგანოვიჩის** მოსვლასთან დაკავშირებით გამრავლდა სტახანოველთა რიგები. ცალკეული სტახანოველები ტრანსპორტზე გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ.

კომკავშირელებმა, ელექტრომავალ „ს-10-02“-ის წამყვანმა კრივოროსელებმა, ე. ნ. მიქაძემ და ნ. გ. ქახურაძემ ჯერ კიდევ 1936 წლის 27 ნოემბრის იკისრეს ვალდებულება ურემონტოდ გაევლოთ 150 ათასი კილომეტრი. ბეჭრნი დაჩინებით შეხვდნენ ამ წინადადებას, მაგრამ მიქაძემ და ქახურაშვილმა უკვე გაიარეს ურემონტოდ 150 ათასი კილომეტრი და რკინიგზის ტრანსპორტის დღისათვის იკისრეს ვალდებულება აიყვანონ ეს ციფრი 200 ათას კილომეტრამდე. მათ უკვე შეასრულეს 180 ათასი კილომეტრი, ურემონტოდ გარბენის ნორმა კი მხოლოდ 8.000 კილომეტრია.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის საწარმოებში — საამქროებში, ბრიგადებში, ცვლებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება რკინიგზელთა დღის აღსანიშნავად. ერთმანეთს ეჯიბრებიან აგრეთვე ლენინაკანის თბილისის და ბაქოს განყოფილებანი. ამიერ-კავკასიის რკინიგზელები ახალი მიღწევებითა და რეკორდებით ხვდებიან რკინიგზელთა საკავშირო დღეს.

თბილისის განყოფილების დისპეტჩერ ტერტერაშვილის ინიციატივით მოწყობილი, 30 ივლისის სახელობის სოციალისტური მატარებელი № 603, რომელიც ხილით იყო დატვირთული და რომელიც მიჰყავდათ კრივოროსელ მემანქანეს, თბილისის საორთოქლმავლო დეპოში რგოლური სვლის ინიციატორს — ლევან ობოლაშვილს და მემანქანეებს ერემენკოსა და ვარენიკს, ორკონიძის გზას ჩაბარდა განრიგებაზე 6 საათითა და 4 წუთით ადრე. ბალაჯარის საორთოქლმავლო დეპოს მემანქანე სილანტიევმა პირველად გადატარა 2.000 ტონა წონის მატარებელი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1.650 ტონისა.

გზის პარტორგანიზაციები, 30 ივლისისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ატარებენ საზოგადოებრივ დათვალიერება-რეიდებს სახ. კომისარ ლ. მ. კაგანოვიჩის ბრძანების № 231/ც-ის შესრულების შესამოწმებლად.

გაჩაღებულია მუშაობა ტექნიკური ექსპლოატაციისა და სიგნალიზაციის წესების ჩასაბარებლად გზის 4 დისტანციაზე, რაშიაც უკვე ჩაბმულია 112 კაცი.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის ბევრ ორგანიზაციაში ჩატარდა საუბრები რკინიგზელთა დღის მნიშვნელობის შესახებ. სწარმოებს სტახანოველთა თათბირზე მოისმინეს სამეურნეო ერთეულების უფროსთა მოხსენებები სახალხო კომისრის ბრძანების № 231/ც-ის რეალიზაციის შესახებ.

კომკავშირის მსუბუქი კავალერია აწყობს რეიდებს ამ ბრძანების რეალიზაციის შესამოწმებლად 30 ივლისისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საამქროებისათვის კულტურული სახის მისაცემად და გამწვანების ჩასატარებლად, მუშაობაში ჩაბმული არიან ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ცოლები. მზადდება კედლის გაზეთების სპეციალური ნომრების გამოშვება. სადგურებისა და გზის სხვა საწარმოების მოსართავად განყოფილებებს სათანადო თანხები მიეცათ.

ადგილებისათვის დახმარების გასაწევად მიმაგრებული არიან რკინიგზის პოლიტგანყოფილების, რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტისა და ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები.

რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა გამოჰკო 75 ათასი მანეთი 30 ივლისს ერთდღიური დასასვენებელი სახლის მოსაწყობად.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, გზის ცალკეული საწარმოები ცუდად მუშაობენ. ცალკეული პარტორგანიზაციები საკმაოდ არ იბრძვიან სახკომის საბრძოლო ბრძანების № 231/ც-ის ცხოვრებაში გასატარებლად.

რით უნდა აიხსნას თბილისის დეპოში ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტის გადიდება თუ არა დეპოს ცუდი მუშაობით?

კვლავ გრძელდება შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები. კავშირგაბმულობის დარგი ცუდად ამარაგებს დისტანციებს საჭირო მასალებით.

ჩვენმა გზამ ცალკეული რგოლების, კერძოდ, სამტრედიის განყოფილების ცუდი მუშაობის შედეგად, თავის მიჩვენებლები გააუარესა. 30 ივლისს ჩვენ, ამიერ-კავკასიის რკინიგზელები ბოლშევიკური მოწვევით უნდა შევხვედეთ; ახალ წარმატებათა მიღწევისათვის ბრძოლის ცენტრად უნდა გავხადოთ რეალიზაცია სახალხო კომისრის უმნიშვნელოვანესი ბრძანებისა № 231/ც „1937-38 წ. ზამთრის მუშაობის გაკვეთილების, რკინიგზის ტრანსპორტს ახალი ამოცანებისა და 1938-39 წლის ზამთრისათვის მზადების შესახებ“.

რკინის სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ყოველდღიური დახმარებით ამიერ-კავკასიის რკინიგზის 70-ათასიანი კოლექტივი სასახელოდ შეასრულებს პარტიისა და მთავრობის ყოველ დავალებას.

თათბირი ჟვირთზიდვის საკითხებზე

27 ივლისს, საღამოს „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა ის საკითხი, თუ როგორ ასრულებს ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტი ტვირთზიდვის გეგმებს და როგორ ემსახურება იგი კლიენტურას.

თათბირს დაესწრნენ ა.-კ. რკინიგზის და რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიმდინარე წლის პირველ ნახევრის ტვირთზიდვის გეგმის შესრულებისა და კლიენტურის მუშაობის შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა **ა.-კ. რკინიგზის სატვირთო სამსახურის უფროსი ამხ. შ. ი. ლეყავა.**

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხარე ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა დასახეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი გზის სატვირთო მუშაობისა და კლიენტურის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს გადმოაქვთ მოსკოვის ბოლშევიკთა მოწინავე გამოცდილება

გაზეთმა „რაბოჩაია მოსკვამ“ დღევანდელ ნომერში პარტიული ცხოვრების მთელი განყოფილება დაუთმო საკითხს იმის შესახებ თუ როგორ გადმოაქვთ საქართველოს მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციათა პრაქტიკაში მოსკოვის ბოლშევიკთა მოწინავე გამოცდილება. გაზეთის მეორე გვერდის ოთხ სვეტში, საერთო სათაურით — „გამოცდილების გაზიარება ძლიერი საშუალებაა პარტიული კადრების აღსაზრდელად და მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად“ — მოთავსებულია: რედაქციის მოწინავე, თბილისის მაუდის ქარხნის—„საბჭოთა საქართველოს“—პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. მურადაშვილის და ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ოქრუაშვილის სტატიები, ინფორმაციული ცნობები თბილისის სტალინის რაიონის პარტაქტივის თათბირის შესახებ და აგრეთვე იმ გამოხმაურებათა შესახებ. რაც გამოიწვია თბილისის, ბათუმის უდიდეს წარმოებებში და სოხუმის საქალაქო კომიტეტში მოსკოვის საწარმოთა ხელმძღვანელ პარტიული მუშაკების იმ სტატიებმა, რომლებიც გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ იყო გამოქვეყნებული. განყოფილებაში მოთავსებულია აგრეთვე გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქციის ფოტოსურათი, რომლებიც მიეძღვნა პარტიული მუშაობის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას.

რედაქციის მოწინავეში სათაურით —„პარტიული მუშაობის გამოცდილების საჭიროა გაზიარებისათვის“ ნათქვამია: ივნისის ბოლოში გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის ორგანომ) მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებათა გაზიარების მოწყობის მიზნით გამოაქვეყნა მოსკოვის ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელ პარტიული მუშაკების მთელი რიგი სტატიები. პარტკომის მდივანი ა. ბუბნოვი („ქარხანა „სერპ ი მოლოტ“), ვ. კალიტიუშკინი („კომბინატი „კრასნაია როზა“), ს. ემელიანოვი („ქარხნის „სერპ ი მოლოტ“ მგლინავი საამქრო), პ. ფედულოვი (იმავე ქარხნის მარტენის საამქრო) და სხვები უამბობდნენ „ზარია ვოსტოკის“ ფურცლებზე, თუ როგორ მუშაობს მათი პარტიული ორგანიზაციები უპარტიო აქტივთან, თანამგრძნობებთან, პარტიის კანდიდატებთან. როგორ არის დაყენებული მათთან თავდაცვითი მუშაობა, პარტიული სწავლება და სხვ.

მოსკოვის ბოლშევიკების გამოცდილებამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში. დღევანდელ ნომერში ჩვენ ვაქვეყნებთ თბილისის კომუნისტთა აზრს იმის შესახებ, თუ რა ახალი მიიღეს მათ მოსკოვის საწარმოთა პარტორგანიზაციების გამოცდილებიდან და რა დადებითი გამოცდილება აქვთ თვით მათ.

პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის ხარისხის ამაღლებისა და პარტიული კადრების აღზრდის საქმეში უდიდეს როლს ასრულებს პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარება. პარტიის გენერალური ხაზისათვის, პარტიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის ბრძოლაში და გამძაფრებულ შეურიგებელ ბრძოლაში ხალხის მტრებთან, პარტიული ორგანიზაციები აგროვებდნენ მასების პოლიტიკური ხელმძღვანელობის თავიანთ გამოცდილებას...

ამ მდიდარი გამოცდილების ყველა პარტიული მუშაკის კუთვნილებად გადაქცევა წარმოადგენს თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამას ახალი პარტიული კადრებისათვის...

გადაიკითხეთ რა ყველაფერს დადებითს მოწინავე პარტიულ ორგანიზაციებიდან, თავის მხრივ გადასცემენ რა ყველაფერ ახალს და კარგს, რაც შეიტანეს მათ პარტიულ ცხოვრებაში, პარტმუშაკები უფრო სწრაფად გაიზრდებიან და გაიწრთვნებიან როგორც ხელმძღვანელები.

მოსკოვის ბოლშევიკებს აქვთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილება. ისინი ცხოვრობენ და მოქმედებენ ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო სიახლოვეში, მუშაობენ მათი უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. მოსკოვის ბოლშევიკებთან მოდიან სხვა რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარტიული მუშაობის მოწინავე გამოცდილების მისაღებად. ეს, მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციას განსაკუთრებულ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საქმეში. მოსკოვის ბოლშევიკთა ამოცანაა — გაამართლონ პარტიის ეს ნდობა.

ვიბრძვით ჩაის მაღალი მოსავლისათვის

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოლანა, სწრაფად იზრდება წევრთა კულტურული დონე. ფართოდ დაინერგა სტახანოვური მუშაობის მეთოდი. სწორედ ამის შედეგია შრომის ნაყოფიერების ზრდაც, კოლმეურნეობის განმტკიცება მეურნეობრივად, პოლიტიკურად და რრგანიზაციულად. ჩვენი კოლმეურნეობა პოლშევიკური კოლმეურნეობაა, ხოლო კოლმეურნეები ეცხოვრობთ შეძლებულად, საამურად.

ამ კოლმეურნეობის ყველა წევრი, გამთბარი სტალინური ცხოველმყოფელი მზით ყოველდღიურად, ყოველ ნაბიჯზე გრძნობს და მთელი არსებით განიცდის იმ ძალას, სიცოცხლეს და ენერგიას, რომელსაც გვმატებს ჩვენი მამის, შეგობრის, ხალხთა ბრძენი ბელადის. ამხანაგ სტალინის მშობლიური მზრუნველობა, ყურადღება და დახმარება. ამის შედეგია, რომ ჩვენმა კოლმეურნეობამ წელს მაისისა და ივნისის სამუშაოთა გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა, — დაამთავრა ჩაისა და სიმინდის მეორედ გათოხნა. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 15 ივლისს 95 პროცენტით შეასრულა თვიური დავალება.

ეს წარმატებები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები, დამკვრელები და ბრიგადირები, ყველა სხვა წევრებთან ერთად ამ დღეებში შევიკრიბეთ და დავსახეთ ღონისძიებანი შემდგომი ახალი წარმატებებისათვის, სახელდობრ ვიკისრეთ: უზრუნველვყოთ კოლმეურნეობაში სტახანოველებისა და დამკვრელების რიცხვობრივი ზრდა, და ენერგიული მუშაობით მიმდინარე წლის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები შევასრულოთ გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად.

ამჟამადაც ჩემი ბრიგადა მთლიანად სტახანოვური ბრიგადაა და გეგმებს ყოველთვის საკეთესო მაჩვენებლებით ასრულებს. სტახანოველი ქსენია ჯომიდავა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამისა, დღეში ჰკრეფს 97 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, შაინე ყალიჩავა, ოლია ქარდავა და ასპირო კვარაცხელია თვითეული—96 კილოგრამს, ვალიჩქა ჯღმიდავა—97-ს და ვერა გაბილაია—95-ს. მე კი წელს დღეში მოვკრიფე 215 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩემი ბრიგადა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა გეგმას ბრწყინვალე მაჩვენებლებით ასრულებს, მაგრამ ჩვენი მიზანია ახლო ხანში ბევრად უკეთეს წარმატებებს მივაღწიოთ. ჩვენი კოლმეურნეობის სტახანოველების, დამკვრელების, ბრიგადირების, მთელი კოლმეურნეების სახელით სიტყვას ვაძლევ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს, საუკეთესო სტალინელს, ჩვენს უსაზღვროდ საყვარელ ამხანაგს ლავრენტი ბერიას, რომ მიმდინარე წლის ყველა საწარმოო დავალებას შევასრულებთ გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად. პირადად მე კი მიმდინარე წლის ბოლოსათვის მივაღწევ ახალ სარეკორდო მაჩვენებელს—დღეში მოვკრიფ 275 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, დღიურ დავალებას შევასრულებ 4.000 პროცენტით.

ცაცა ჟარდავა

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი სტახანოველი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა

(დასასრული)

მოვლენებს, როგორიცაა ფოსტის არა თავის დროზე მიტანა, საფოსტო კორესპონდენციის მიუტანლობა „დრესატის მოუძებნელობის გამო“, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებათა სხვაგან გაგზავნა და დაკარგვა, აგრეთვე ფოსტით გადაგზავნილი ფასიანი ამანათებისა და ფულის მტაცებლობა. კავშირგაბმულობის ბევრი მუშაკი უხეშად ეპყრობა მომსვლელებს. კავშირგაბმულობის მთელი რიგი დაწესებულებანი უუნაყოფოდ და არაკულტურულად იხახება. სახალხო კომისარიატი და სოფლის სამმართველოები კავშირგაბმულობის ძირეული ორგანოების მუშაობას სათანადო კონტროლს არ უწევენ.

ტექნიკური მდგომარეობა კავშირგაბმულობის მოწყობილობისა, რომლის ექსპლოატირებას მავნებლები ისე ეწეოდნენ რომ იგი გაცვეთილიყო, დღემდე მივიწყებული რჩება. სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზების რემონტის წლიური გეგმა ა. წ 1 ივლისისათვის უმნიშვნელო რაოდენობით არის შესრულებული. წლიური გეგმა კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის კაპიტალური შენებლობისა მთლიანად ა. წ. 1 ივლისისათვის შესრულებულია მხოლოდ 22,7 პროცენტით. ბევრი მშენებლობა უპროექტოდ და უხარჯთაღრიცხვოდ სწარმოებს. მუშაობის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. არ არის სათანადო წესრიგი რადიომეურნეობის აღრიცხვასა და მოწესრიგებაში, ბევრ რადიოსადგურს სრულიად არარაციონალურად იყენებენ და ისინი უკონტროლოდ მუშაობენ.

სსრკ სახკომსაბჭომ დაადგინა აღნიშნოს გაუმჯობესება კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მუშაობაში, მაგრამ სცნო, რომ ამ მხრივ მიღწეული შედეგები სრულიად არ არის საკმარისი.

სახკომსაბჭომ სცნო, რომ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში რიგზე ვერ არის საქმე შესრულების შემოწმების მხრივ,—არ ხდება თვით სახალხო კომისარიატის ბრძანებათა შესრულების ორგანიზებული შემოწმება, და კადრების შერჩევის მხრივ — ბევრია მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი ნაცვლად მუდმივი ხელმძღვანელებისა და მრავალ შეცდომას აქვს ადგილი ხელმძღვანელ მუშაკთა შერჩევაში.

სახკომსაბჭომ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარს ამხ. ბერმანს მიუთითა, როგორც დიდ შეცდომაზე მისი მხრით, რომ, მიუხედავად სახკომსაბჭოს არაერთგზისი მითითებისა სახალხო კომისრის შიად გაღეთა წამოყენების საჭიროების შესახებ—ამასთან თვით კავშირგაბმულობის მუშაკების მხედველობაში მიღებითაც,—იგი მთელი რიგი თვეების განმავლობაში სრულიად უმოადგილოდ მუშაობს. ამხ. ბერმანს წინადადება მიეცა, შემდგომი გაჭიანურების დაუშვებლად, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს წინადადებანი კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოადგილეთა დანიშვნის საკითხზე.

სსრკ სახკომსაბჭომ დაავალა სპეციალურ კომისიას შეიმუშაოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისრიატის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, კომისიამ ამასთან მხედველობაში უნდა მიიღოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისრიატის გამოკვლევის მასალები, რომლებიც ბევრ ძვირფას მონაცემს შეიცავენ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დასამუშავებლად.

შემდეგ სახკომსაბჭომ მოისმინა სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვოზნესენსკის მოხსენება იმის შესახებ, თუ **როგორ სრულდება სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 იანვრის დადგენილება რემონტის გაუმჯობესების შესახებ სამრეწველო საწარმოებში.**

სსრკ სახკომსაბჭოს ა. წ. 8 იანვრის დადგენილებით გაუქმებულ იქნა წინათ არსებული არასწორი წესი საამორტიზაციო გადარიცხვების გამოყენებისა, რომლის დროსაც ამ გადარიცხვებიდან არ გამოიყოფოდა სპეციალური თანხა რემონტისათვის. სამრეწველო სახალხო კომისარიატებისათვის საამორტიზაციო გადარიცხვების ხარჯზე დაწესებულ იქნა ნორმები ყოველწლიური ასიგნებებისა სპეციალურად კაპიტალური რემონტისათვის. ეს ასიგნებანი უნდა ეძლეოდეს საწარმოებს მათთვის კაპიტალდაბანდებათა ხაზით დაწესებული კრედიტების გადამიტებით.

სსრკ სახკომსაბჭომ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელს და უშუალო საწარმოთა დირექტორებს მიუთითა, რომ მათ აწყოთ სრული პასუხისმგებლობა ყველა მანქანის, მოწყობილობის, შენობათა და ნაგებობათა წესიერად შენახვისათვის და ისინი ვალდებულნი არიან უზრუნველჰყონ ჯეროვანი მოვლა და დროული რემონტი მათთვის დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოებში.

ცნობები 1938 წელს რემონტის მსვლელობის შესახებ მოწმობენ, რომ მიმდინარე წელს რემონტი შარშანდელზე გაცილებით უკეთ მიმდინარეობს; ასე, მაგალითად, თუ მთელი 1937 წლის განმავლობაში კაპიტალურ რემონტზე მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით დაიხარჯა 334 მილიონი მანეთი, სამაგიეროდ 1938 წლის მარტო 6 თვის განმავლობაში რემონტის პროგრამა შესრულებულია 232 მილიონი მანეთის, მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ხაზით შესაბამისად — 82,6 მილიონი მანეთის და 56,5 მილიონი მანეთის ოდენობით, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით მთელი 1937 წლის განმავლობაში კაპიტალური რემონტისათვის ათვისებულ იქნა 53 მილიონი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში—33,2 მილიონი მანეთი.

მაგრამ კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 5 თვის განმავლობაში წლიური გეგმა შეასრულა 24,8 პროცენტით; მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატმა — 23,2 პროცენტით; მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — 27,2 პროცენტით; კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — 25,9 პროცენტით; სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — 23,2 პროცენტით.

კაპიტალური რემონტის საქმის ორგანიზაცია მთელი რიგი სახალხო კომისარიატების მიერ არადამაკმაყოფილებლადაა ჩატარებული: კაპიტალური რემონტის წლიური ლიმიტები სახალხო კომისარიატებმა და მთავარსამმართველოებმა გვიან დაამტკიცეს; რემონტისათვის მზადება ცუდად ტარდება, რემონტის დამახინჯებებთან ბრძოლისაკენ, რაზედაც მითითებული იყო სახკომსაბჭოში და საბჭოთა პრესაში, არავითვე არასაკმაოდ გამოხატავს იმას, რომ

პარტიული ცხოვრება

გამოვიყენოთ მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონის პარტკომკავშირული აქტივისტების ჯგუფი გამოცდილების გაზიარების მიზნით ეცნობა აბრეშუმის ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობას

ორი საინტერესო დღე

ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის პირველადმა პარტორგანიზაციამ გამოგვგზავნა ჩვენ თბილისის მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გასაცნობად. ორი დღეა ვეცნობით მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობას ადგილებზე, თვით ამ ორგანიზაციებში. ამ ორ დღეში იმდენი რამ შევიძინეთ, რამდენსაც ხშირად მთელი თვეების განმავლობაში ვერ შევიძენდით.

ცხადია, შეუძლებელია დავწეროთ ყველაფერი, რაც ჩვენ გავიგეთ და რის გატარებაც ჩვენს ორგანიზაციაში საჭიროდ და შესაძლებლად მიგვაჩნია. ვიტყვით ზოგიერთ რამეს.

ძლიერ მოგვეწონა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციის პარტიული კაბინეტი. აქ პროპაგანდისტს მართლაც აქვს შესაძლებლობა — საუკეთესოდ მოემზადოს. პოლიტსკოლების მსმენელებს შესანიშნავი პირობები აქვთ შექმნილი აქ მუშაობისათვის. პოლიტიკური ლიტერატურის გარდა, ამ პარტკაბინეტში მხატვრული ლიტერატურაც არის. დიაგრამები, სქემები, რუკები ამშვენებენ კედლებს. ამ თვალსაჩინო ხელსაწყოთა გამოყენება დიდად ზრდის პოლიტსწავლების ხარისხს. პარტიული კაბინეტი მშვენივრად არის აგრეთვე მოწყობილი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში.

ყოველივე აქედან ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ პარტიული პროპაგანდის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მოვაწყოთ ქარხანაში პარტიული კაბინეტი.

ჩვენ მოგვეწონა მასობრივ-პოლიტიკური აგიტაციის დაყენება 26 კომისრის სახელობის ქარხნისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციებში. სისტემატურად, ყოველდღიურად, დანიშნულ დროს ტარდება 12-15 წუთიანი ინფორმაცია. აგიტატორები ატარებენ საუბარს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე.

შევისწავლეთ, თუ როგორ ზრდიან მოწინავე პარტორგანიზაციები აქტივს, კადრებს. ადამიანთა წინასწარ შესწავლა, დავალებების მიცემა, შესრულების შემოწმება, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში სისტემატური დახმარება, კონფერენციები და ბევრი კიდევ სხვა რამ, რასაც ეს ორგანიზაციები ატარებენ, ჩვენც უნდა გადავიტანოთ ჩვენს პარტორგანიზაციაში.

ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე პარტიის ზრდის საკითხზე მუშაობის, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის, სტახანოვური მოძრაობისათვის დახმარების, მუშაკთა დაწინაურების და სხვა მრავალი საკითხი.

ყველა ამ საკითხს კიდევ მოვიფიქრებთ, დაწვრილებით გავაცნობთ პარტორგანიზაციას და გიბრძოლებთ მიღებულ ღონისძიებათა ბოლომდე გატარებისათვის.

გამოვთქვამთ სურვილს, რომ გამოცდილების ასეთი გაზიარება ხშირად ეწყობოდეს.

ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე

ვ. ხადელაშვილი

აქტივისტები:

მ. რუსტიაშვილი.

გ. შარიფაშვილი.

★

მ. აბაზოვი — ავჭალის ბერის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი

ს. მგალობლიშვილი — მცხეთის ხტყის სახერხი ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე

★

ძ. ბერიტაშვილი — ავჭალის ბერის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი

ვ. კახურაშვილი — სოფ. მარტყოფის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი.

★

ბ. კვანტალიანი — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი

ი. ხადელაშვილი — ქსნის აგურკრამიტის ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე

დაჯგებით გამოცდილებას დავნერგავთ ჩვენს პარჯორგანიზაციაში

ორი დღის განმავლობაში ვეცნობოდით თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნის მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობას.

ამ ორ დღეში ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი რამ ახალი შევიძინეთ, რაც აუცილებლად გამოგვადგება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციაში გავეცანით იმას, თუ როგორ უნდა შევქმნათ დასაწინაურებელთა რეზერვი, როგორ უნდა დავეხმაროთ დაწინაურებულებს ახალი მოვალეობის შესრულებაში. მაგალითად ჩვენთვის სრულიად ახალი იყო თეორიული კონფერენციების მოწყობის საკითხი. ხოლო როდესაც აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციის გამოცდილებას გავეცანით, შემდეგ ეს საკითხი ჩვენთვის ყოველმხრივ გარკვეული გახდა. ჩვენ ახლა ვიცით, თუ როგორ უნდა თეორიული კონფერენციის მოწყობა, რა მიზანს ისახავს იგი. აქ გავეცანით აგრეთვე პარტიული კადრების გამოზრდისა და პარტიულ მუშაობაში მათი გამოწრთობის საყურეთესო სტილს. ფაბრიკის პარტკომის მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ კომუნისტები შეაჩვიოს პარტიული კრების ხელმძღვანელობას. ამისათვის კრებაზე თავმჯდომარის არჩევისას ცდილობენ ერთი და იგივე ამხანაგები არ იქნან დასახელებულნი. აქ კომუნისტებს აჩვევენ ოქმის წერას, მოხსენების მომზადებას, ახალი საკითხების წამოყენებას და სხვ. ეს მეთოდი პარტიული კადრების გამოზრდის საქმეში ჩვენთვის ახალია. ჩვენთან კრებაზე თავმჯდომარედ თითქმის ყოველთვის ერთდაიმავე კაცს ირჩევენ. მოხსენებასაც ერთიდაიგივე მომხსენებელი აკეთებს. ჩვენი პარტორგანიზაციის ზოგიერთ წევრს ჯერ კრების ოქმიც არ შეუდგენია. კრების თავმჯდომარეობა არ გაუწევია. კიდევ მეტი, გვყვანან ისეთებიც, რომლებსაც პარტიულ კრებაზე კამათში გამოსვლაც კი უჭირთ.

26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციაში გავეცანით პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას.

ქარხანაში დავესწარით აგიტატორთა საუბარს. აქ აგიტაცია ყოველდღიურად ტარდება, აგრეთვე უფრო საინტერესოდ და შინაარსიანად არის მოწყობილი, ვიდრე ჩვენს კოლმეურნეობაში. ვესაუბრეთ ქარხნის მოწინავე აგიტატორებს, თუ როგორ ემზადებიან ისინი აგიტაციისათვის. გამოირკვა, რომ ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ გაზეთებით, თანმიმდევრობით კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, სხვადასხვა ჟურნალებიდან ამზადებენ საინტერესო საკითხებს საagიტაციო საუბრებისათვის, ამიტომ მათი საagიტაციო საუბარი ყოველთვის შინაარსიანი და მიმზიდველია.

კარგი გამოცდილება გადმოგვცა აგრეთვე თბილისის წისქვილკომბინატის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელმა პარტიული აქტივის გამოზრდის საკითხში. პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკითხი კარგად არის დაყენებული თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციაში. აქ დეტალურად გავეცანით, როგორ იზრდებიან ყოველდღიურ მუშაობაში კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები, როგორ ზრუნავს პარტიული კომიტეტი წარმოებაში მომუშავე ადამიანების კომუნისტურად აღზრდისათვის, მათი იდეური დონის ამაღლებისათვის, კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მოწინავე პარტიული ორგანიზაციების სტილს გამოვიყენებთ კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პარტ-პოლიტიკური მუშაობის ამ ადგილებით კიდევ ვიტყვით განვრძკიცებთ და დავაწინაურებთ ჩვენს მილიონერ კოლმეურნეობას.

ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგი—**მ. აბაზოვი**

პარტორგის პირველი მოადგილე **ვ. ბუტიკაშვილი**

აგიტატორი პ. წამალაშვილი

კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ძ. ბერიტაშვილი**

ვ. ხადელაშვილი

უბის წიგნაკიდან

პარტიული მუშაობის კარგად დაყენებაზე დიდად არის დამოკიდებული საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება. პარტიულ და სამეურნეო მუშაობას ერთმანეთთან კარგად ვათავსებთ, გეგმას 102 პროცენტით ვასრულებთ, ხოლო შარშანდელთან შედარებით საწარმოო ხარჯები 27 პროცენტით შევამცირეთ. მაგრამ ამ მხრივ საქმე ჩვენზე უკეთესად აქვს დაყენებული თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციას.

პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე მიღებული გვყავს 5 კაცი, რაც უსათუოდ ცოტაა. ჩვენ მრავალ გვყავს სოციალისტური მიხდრების ოსტატები, მაგრამ მათთან სათანადო მუშაობას ვერ ვეწევით. ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში კი გულმოდგინედ იბრძვიან პარტიის რიგების ზრდისათვის. იქ განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული თანამშრომლობებთან და კომკავშირელებთან მუშაობა.

ქარხნის პოლიტსკოლა, რომ კარგად მუშაობს, ეს იმითაც აიხსნება, რომ მას პროპაგანდისტთა ადგილობრივი კადრები ხელმძღვანელობენ. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ შესძლო მუშა-პროპაგანდისტების აღზრდა და დაწინაურება. ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით.

ორი დღეა ვიწერთ შთაბეჭდილებებს. რა საკითხზე გინდა, რომ არ გვქონდეს ჩანაწერები. აი, თუ გვებავთ, აგიტატორებთან მუშაობა. ქარხნის პარტკომი აგიტატორების თათბირს იწვევს, ეცნობა მათს მუშაობას, აძლევს დავალებებს, შემდეგ ამოწმებს ამ დავალებათა შესრულებას.

მთელი ეს გამოცდილება რომ ზუსტად გადმოვიტანოთ, ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება. დავამყარებთ მჭიდრო კავშირს ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტკომებთან, სისტემატურად ვივლით იქ და უფრო ღრმად ჩავწვდებით მთელ გამოცდილებას. გარდა ამისა, ამ დღეებში ჩვენი პარტიული ორგანიზაცია თანამშრომლობებთან და კომკავშირელებთან ერთად დაათვალიერებს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს და სხვ.

თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი.

ბ. კვანტალიანი

პარტკომის მეორე მდივანი **ნ. გაგაშვილი**

აგიტატორი **ვ. ცანავა**

ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნისა და წისქვილკომბინატის პარჯორგანიზაციებში

26-27 ივლისს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის აქტივისტებმა დაათვალიერეს წისქვილკომბინატი და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა. აქტივისტთა ჯგუფი, რომელიც 12 კაცისაგან შედგებოდა, უაღრესად კმაყოფილი დარჩა ამ საწარმოთა ნახვით, მათი მუშაობის გაცნობით და საწარმოო პროცესების დათვალიერებით.

წისქვილკომბინატის დათვალიერების შემდეგ დაიწყო საქმიანი საუბარი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით.

ერთერთი სტუმარი პარტკომის მდივანს ამხ. ს. სევეაკიას აძლევს შეკითხვას იმის შესახებ, თუ როგორ ძიაღწევს პოლიტწრეებზე მსმენელთა ასპროცენტიან დასწრებას და მასალის შეთვისების მაღალ ხარისხს.

— პოლიტწრის ყოველი მეცადინეობის შემდეგ ვიწვევთ პარტკომის სხდომას,—ამბობს ამხ. ს. სევეაკიანი,—პოლიტწრეზე დასწრების ჩატარებული თემისა და მის შეთვისების ხარისხის შესახებ ანგარიშს აბარებენ პროპაგანდისტები და წრის მამასახლისები. ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში პარტკომი იქვე აძლევს მითითებას. მეორე დღეს პარტკომში ვიწვევთ იმ ამ ხანაგებსაც, ვინც მეცადინეობა გააცდინა. ისინი ანგარიშს გვაბარებენ როგორც ჩვენ, ისე საერთო კრებასაც. ამგვარი მოვლენები გაცდენის შემთხვევები. ვინც სხვადასხვა მიზეზით პოლიტწრეს ვერ დაესწრო, მათთან დამატებით ვატარებთ მეცადინეობას, ვაძლევთ ინდივიდუალურ კონსულტაციას და შემდეგ ვამოწმებთ.

მეორე დღეს, 27 ივლისს, განსაკუთრებით დიდი ინტერესით დათვალიერებულ იქნა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა, წარმომადგენლები ისტორიული აღგილის დათვალიერების შემდეგ დეტალურად გაეცნენ ქარხნის პარტკაბინეტის მუშაობას.

გამოცდილების გაზიარების მიზნით ქარხნის პარტკომში შესდგა სპეციალური თათბირი. პარტკომის მდივანი ამხ. ესტ. წამალაიძე გულმოდგინედ ესაუბრა თბილისის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამხ. წამალაიძე ვრცლად შეჩერდა პარტიის რეზერვთან მუშაობის საკითხებზე.

— ამ მოკლე ხნის მანძილზე პარტიაში 96 კომკავშირელი მივიღეთ. მათთან წინასწარ ჩავატარეთ მუშაობა. ამ ცნობამ მეტად დაიინტერესა თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ამხ. ბ. კვანტალიანი, ოომელმაც ძხოლოდ 2 კომკავშირელი მიიღო პარტიაში. მან დაწვრილებით გამოჰკითხა ამხ. წამალაიძეს, თუ როგორ შესძლო მან პარტიაში კომკავშირელთა მიღების ასე ჯარად დაყენება.

შემდეგ ამხ. წამალაიძემ სტუმრებს მოუთხრო პარტიაში აღდგენილ კომუნისტთა შორის მუშაობაზე. ქარხნის პარტორგანიზაციაში მოკალათებულმა მტრებმა პარტიიდან 132 კაცი გარიცხეს, აქედან ჯერჯერობით 70 კაცი აღვადგინეთ. პარტიაში ახლად აღდგენილები ჩავებით პოლიტსკოლებში და ყოველნაირად ვუწყობთ მათ ხელს. ამხ. ალ. ტატიშვილი პარტიიდან გარიცხეს, როგორც „უვაგრისი“ მუშა. ჩვენ ის აღვადგინეთ, დავეხმარეთ და ახლა ის გეგმას 750 პროცენტით ასრულებს.

სააგარაკო-სავაგონო საამქროს პარტორგი ამხ. ლორთქიფანიძე გამოვიდა მოკლე სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ ებრძვიან საამქროში მავნებლობის შედეგთა აღმოსაფხვრელად და როგორ ეხმარებიან რეკორდსმენებს.

სამჭედლო საამქროს პარტორგმა ამხ. ხუბულურმა გააცნო დამსწრეთ ყველა ის მეთოდი, რომლებითაც მიაღწიეს სტახანოველთა რიგების ზრდას, ახალი კადრების დაწინაურებას და გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

თბილისის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების წარმომადგენლებმა წისქვილკომბინატსა და ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანაში მიღებული შთაბეჭდილებები უბის წიგნაკებში ჩაიწერეს, რათა ადგილებზე დაბრუნების შემდეგ შეუდგნენ ამ პარტორგანიზაციათა გამოცდილების განზორციელებას.

ო. ეგაძე

კ. ჯოგიაშვილი

ახლა რიგი ჩვენზეა

გაზ. „კომუნისტის“ ინიციატივა თბილისის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარების საქმეში ხელს შეგვიწყობს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ აღმავლობისათვის. მცხეთის სახერხი ქარხნის აქტივისტთა ჯგუფი გავემგზავრეთ წისქვილკომბინატის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გასაცნობად. გამოირკვა, რომ ბევრ შემთხვევაში წისქვილკომბინატის პარტორგანიზაციას გაძოუნახავს მუშაობის ისეთი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მან შესძლო პოლიტწრეებში გაცდენათა აღმოფხვრა, პარტსწავლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

აქ კარგად არის დაყენებული აქტივის აღზრდის საქმე. რიგითი პარტკანდიდატებიდან და თანამგრძნობებიდან ამზადებენ პროპაგანდისტებს, ამისათვის პარტიული კომიტეტი სპეციალურად მუშაობს რამდენიმე ამხანაგთან, ეხმარება და ამოწმებს მათ ზრდას.

მისაბაძია საამქროებში საწარმოო თათბირების ორგანიზაციის პრაქტიკაც. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ საამქროს მთელი კოლექტივი აჯამებს მუშაობის შედეგს. აქვე აღნიშნავენ ნაკლოვანებებსაც და მიღწევებსაც.

ვინახულეთ აგრეთვე აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. პარტკომის მდივნის მოადგილემ ამხ. იმნაიშვილმა გაგვაცნო თავისი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

ფაბრიკის პარტიული კომიტეტი დიდ მუშაობას ატარებს პარტიის წევრებთან, პარტიის წევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან, აძლევს მათ პარტიულ დავალებებს, ზრდის აქტივს, აწრთნაურებს ახალ კადრებს.

გავეცანით 26 კომისარის ქარხანასთან არსებულ პარტორგანიზაციის მიღწევებსაც. იქაც ატარებენ თეორიულ კონფერენციებს, რომლებზეც მოხსენებებით გამოდიან რიგითი ამხანაგები.

დასასრულ, დავათვალიერეთ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ლამე კეცხოველის სახელობის პარტიული სახლი, რომლებმაც ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს.

ჩვენს პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ადვილად შეუძლია გადმოიღოს და განახორციელოს თბილისის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება.

მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე

ს. მგალობლიშვილი

ქარხნის ინჟინერი

გ. მაისაბერიძე

სტახანოველები

ანა საქნავა

შ. არეშოვი

შევიძინეთ დიდი გამოცდილება

თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის შესწავლამ ძალიან დიდი გამოცდილება მოგვცა. როცა ვადარებთ ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობას იმასთან, რაც თბილისის პარტორგანიზაციებში ვნახეთ, მეტად თვალსაჩინო განსხვავებას ვხედავთ.

ავიღოთ მაგალითად პარტწრეების მუშაობა. თბილისის ყველა ქარხანაში, სადაც ჩვენ ვიყავით, პარტწრეების მუშაობა მოგვარებულია; მეცადინეობის ჩაშლას ადგილი არა აქვს, მსმენელების მიერ მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა იშვიათი მოვლენაა, შეთვისების ხარისხი სისტემატურად უმჯობესდება. მსმენელები ადგენენ კონსპექტებს და სხვ.

ჩვენთან კი სულ სხვა მდგომარეობაა. აშკარად უნდა ითქვას, რომ კომუნისტთა მოშზადების დონის ამაღლებისათვის ჩვენ ძალიან ცუდად ვმუშაობთ.

ცუდად ვმუშაობთ აგრეთვე პარტიის რეზერვებთან. სამარცხვინოდ ჩამოვრჩებით პარტიაში ახალ წევრთა მიღების მხრივ. 1938 წლის განმავლობაში მხოლოდ 2 კაცი მივიღეთ პარტკანდიდატად. ამავე დროს ჩვენს კოლმეურნეობაში ცოტა რომელია საუკეთესო სტახანოველი, მოწინავე ახალგაზრდა, რომელიც ღირსია პარტიაში მიღებისა.

ჩვენს კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სტახანოვური მოძრაობის გაშლას. კოლმეურნეობაში არიან საუკეთესო ადამიანები, რომლებიც სოციალისტური შრომის შესანიშნავ ჩემუშებს იძლევიან, მაგრამ მათი შრომის აღრიცხვა და სტახანოველთა გამოკვლევა მოუგვარებელია. ამ მხრივ საუცხოო გამოცდილება მივიღეთ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანასა და 26 კომისრის სახ. ქარხანაში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე მოახდინა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალმა.

ჩვენ დაწვრილებით ჩავიწერეთ ყველაფერი, რაც წინათ არ ვიცოდით და გავიგეთ ახლა, თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობის გაცნობის შედეგად. გაზრახული გვაქვს დაბრუნებისთანავე შევუდგეთ ენერგიულ მუშაობას თბილისში შეძენილი გამოცდილების ჩვენს ორგანიზაციაში დასანერგავად.

ვლ. კახურაშვილი

მარტყოფის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი

კ. ჯოგიაშვილი

მარტყოფის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე.

სოფლის კომუნისტები—თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციებში

26 ივლისს თბილისის რაიონის კოლმეურნეობებიდან და საწარმოებიდან თბილისში ჩამოვიდა პარტიულ მუშაკთა ერთი ჯგუფი. მათი ჩამოსვლის მიზანი იყო—ადგილობრივ დეტალურად გასცნობოდნენ თბილისის იმ მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობის, გამოცდილებას, რომელთა მასალებიც 22 ივლისს გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“.

26 ივლისს თბილისის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების წარმომადგენელთა ერთმა ნაწილმა რაიკომის ინსტრუქტორის თანხლებით და „კომუნისტის“ მუშაკებთან ერთად მთელი დღე მოანდომა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების გაცნობას.

პარტკომში შესდგა სპეციალური თათბირი თბილისის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციის წარმომადგენლებთან. თათბირს დაესწრო აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული აქტივი.

პარტკომის მდივნის პირველი მოადგილე ამხ. ირ. იმნაიშვილი დაწვრილებით შეეხო აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, ილაპარაკა, თუ როგორ მუშაობს პარტიული კომიტეტის მდივანი, რას აკეთებენ მდივნის პირველი და მეორე მოადგილენი, როგორ არის განაწილებული პარტიული მუშაობა კომიტეტის წევრთა შორის.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივნის მოადგილემ პარტიული კადრების აღზრდის სამაგალითო გამოცდილება გაუზიარა ამხანაგებს. თბილისის რაიონის კოლმეურნეობათა და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამ თათბირზე პირადად მოუსმინეს ფაბრიკის საუკეთესო აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, დაწინაურებულ ამხანაგებს, რომლებმაც ილაპარაკეს თითოეული აგიტატორი მის მიერ ჩატარებულ თემასა და სხვა შენიშვნებს იწერს ბლოკნოტში. არსებობს აგრეთვე აგიტატორთა მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც ინახება პარტიულ კაბინეტში, სადაც ყოველდღიურად აღინიშნება აგიტაციის ჩატარება. თუ აგიტატორი საუბრის დროს რაიმე შეკითხვას ვერ განმარტავს, ამ საკითხზე შეზდეგ ემზადება. და მეორე დღეს საagიტაციო საუბრის წინ აძლევს პასუხს ამხანაგებს.

სტუმრებმა პარტმუშაობის ეს გამოცდილებანი გულდასმით ჩაიწერეს.

27 ივლისს თბილისის რაიონის კოლმეურნე - კომუნისტთა ეს ჯგუფი ესტუმრა 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციას.

ისინი ქარხანაში მივიდნენ დილის 11 საათზე, როცა იქ გამოცხადებული იყო სასაუზმო შესვენება და საამქროებში აგიტაცია-საუბრები მიმდინარეობდა. ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. გ. მოსიძის თანხლებით მათ შემოიარეს ქარხნის ყველა საამქრო, გაეცნენ საწარმოო პროცესებს და მოისმინეს ზოგიერთი აგიტატორის საუბარი.

ამის შემდეგ პარტკომში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც უაღრესად საქმიანად ჩაიარა. კოლმეურნეობებიდან მოსულმა ამხანაგებმა კითხვა-პასუხის საშუალებით გამოარკვიეს, როგორ არის დაყენებული 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები.

— როგორ მუშაობთ პარტიის წევრობის კანდიდატებთან? — ეკითხებიან პარტკომის მდივანს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების წარმომადგენლები.

— გარდა იმისა, რომ კანდიდატები ჩაბმული არიან პარტწრეებში, მათთვის ჩვენ შევქმენით სპეციალური წრე, სადაც სწავლობენ პარტიის პროგრამას და წესდებას. პარტკანდიდატებს სისტემატურად ვაძლევთ სხვადასხვა სახის ერთდროულ პარტიულ დავალებებს. მაგალითად, ვამზადებინებთ საკითხებს პარტკომის სხდომისა ან საერთო კრებისათვის. ამასთან, კანდიდატებს დავალებები ეძლევათ არა დამოუკიდებლად, არამედ პარტიის რომელიმე წევრთან ერთად, რომელიც ეხმარება კანდიდატებს საკითხის მომზადებაში და უზიარებს მათ თავის გამოცდილებას.

ამხ. გ. მოსიძემ დეტალურად გააცნო მოსულ ამხანაგებს აგრეთვე თანამგრძნობებთან და სტახანოველებთან მუშაობის, აგიტაციისა და პროპაგანდის, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და მთელი რიგი სხვა საკითხები.

თბილისის რაიონის კოლმეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციებიდან მოსულმა ამხანაგებმა ღრმა კმაყოფილება გამოსთქვეს თბილისის საწარმოთა პარტორგანიზაციების მუშაობის გაცნობის გამო და ერთხმად აღნიშნეს, რომ დაბრუნებისთანავე შეუდგებიან თავიანთ ორგანიზაციებში თბილისის მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების გადატანასა და დანერგვას.

პ. ნარინი

ალ. გილაშვილი



საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიონის პარტკომკავშირული აქტივისტთა ჯგუფი ათვალიერებს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს. ფოტო რ. აკოფოვისა

ამხ. ნიკოლენკოს გამოსვლა

ინგლისელ მაღაროელთა ფედერაციის კონფერენციაზე

ლონდონი, 26 ივლისი (საკდესი). საბჭოთა კავშირის მაღაროს მუშათა წარმომადგენელი — დონბასის მენახშირეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლენკო, რომელიც დაესწრო ინგლისელ მაღაროელთა ფედერაციის კონფერენციას, სიტყვით გამოვიდა. ამხ. ნიკოლენკომ განაცხადა:

„ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ სსრ კავშირის 800.000 მაღაროელი მუშის სახელით, რომელიც გაერთიანებული არიან პროფესიულ კავშირებში გადმოგცეთ ძმური მგზნებარე სალამი და ულრმესი მადლობა თქვენს კონფერენციაზე მოწვევისათვის. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მაღაროს მუშები მათი წარმომადგენლის მიწვევას დიდი ბრიტანეთის მაღაროს მუშათა კონფერენციაზე უყურებენ როგორც ძმური სოლიდარობის გრძნობის გამოხატულებას ორი დიდი ქვეყნის მაღაროს მუშათა შორის. ეს ჯერ უფრო სასიხარულოა, რომ ძმურ სოლიდარობას დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასსა და სსრ კავშირის მუშათა კლასს შორის თავისი ისტორია აქვს. სსრ კავშირის მუშათა კლასს კარგად ახსოვს და იგი დიდად აფასებს მთლიანად ინგლისის მუშათა კლასის დახმარებას, კერძოდ მაღაროს მუშების დახმარებას, რასაც ინგლისის მუშათა კლასი უწევდა მას სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წლებში.

სსრ კავშირის მუშათა კლასი ყველა თავის გამარჯვებას სამოქალაქო ომის წლებში, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში და სოციალიზმის აგებაში უკავშირებს საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებას. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის დახმარება იყო ყველა იმ გაბარკვების უმნიშვნელოვანეს პირობა, რომლებიც სსრ კავშირის მუშათა კლასმა მოიპოვა ჩვენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მე ჩემს სიტყვაში მინდა მთელი თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთს გადაწყვეტ საკითხს — ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ძმური სოლიდარობის განმტკიცებას.

ამხანაგებო, საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება განსაკუთრებით საჭიროა ამჟამად, როდესაც მთელი მსოფლიო ახალი იმპერიალისტური ომის მუქარის წინაშე იმყოფება. ფაშიზმი ცდილობს მოსპოს ყოველგვარი დემოკრატიული თავისუფლება და დაამყაროს საშუალო საუკუნეების ბარბაროსობისა და მშრომელი მასების ჩაგვრის რეჟიმი. ესპანეთისა და ჩინეთის ამბებმა საკმაო დაბეჯითებით და ნათა მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს, თუ რა მოაქვს გამხეცებულ ფაშიზმს მშრომელი მასებისათვის. გერმანელი და იტალიელი ფაშისტები და იაპონელი ყაჩაღები ცდილობენ დაიმონონ გმირი ესპანელი და ჩინელი ხალხები, რომელნიც იარაღით ხელში მამაცურად იბრძვიან ფაშისტი ინტერვენტების წინააღმდეგ.

გერმანიისა და იტალიის ფაშიზმმა დაიმონა აბისინია, გასრისა ავსტრიის დამოუკიდებლობა. აი უკვე ორი წელია, რაც იგი ომს აწარმოებს ესპანეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ემზადება თავისუფალი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოსასპობად. ფაშიზმი ყველა ქვეყანაში აწყობს თავის ჯაშუშურ დამშვერავ ორგანიზაციებს, რათა სხვადასხვა პროვოკაციებისა და შეთქმულებათა საშუალებით ააფეთქოს ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება. ყოველი ქვეყნის მუშათა კლასმა, მათ შორის ინგლისის მაღაროს მუშებმაც უნდა შეითვისონ უბრალო ჭეშმარიტება, რომ, თუ დღეს ფაშისტი ბარბაროსები ასი ათასობით ადამიანებს ხოცავენ ესპანეთისა და ჩინეთის ტერიტორიაზე, ჩვენ არავითარი გარანტია არ მოგვეპოვება, რომ ხვალ ფაშისტთა ავიაგემანადგურებლებისა და ყუმბარმზიდების ესკადრილია ყუმბარებს არ დაუშენს სხვა ქვეყნების მუშათა უბნებს.

ფაშისტი მხეცის აღაგმვა შეიძლება, შეიძლება ომის თავიდან აცდენაც. მაგრამ ამისათვის ამჟამად ისე როგორც არასდროს წინათ, საჭიროა დამყარდეს ყველა ქვეყნის პროფკავშირთა საერთაშორისო ერთიანობა. ყველა ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანებას, მისი მოქმედების ერთიანობას აქამდე წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც პროფკავშირთა ნაციონალური ცენტრების, ისე პროფკავშირთა ინტერნაციონალური ფედერაციის ცალკეული ხელმძღვანელები.

ამხანაგებო, მე მთელი პროლეტარული პირდაპირობით ხაზგასმით უნდა ავღნიშნო აქ, რომ საბჭოთა პროფკავშირებთან ერთიანობის დამყარების ფაქტიური ჩაშლისათვის უდიდესი პასუხისმგებლობა ეძლევა ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციას, რომელმაც მხარი არ დაუჭირა საბჭოთა პროფკავშირების პირობებს და ამით გადამწყვეტი გავლენა იქონია პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ხასიათზე.

ამხანაგო მაღაროელებო! გულახდილად, ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე რომ ვილაპარაკოთ, მაშინ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ამჟამად ყველაზე უფრო ძლიერი, ყველაზე უფრო დაშვიდებული, არამარტო დღევანდელი დღისთვის, არამედ ხვალინდელი დღისთვისაც არის სსრ კავშირის მუშათა კლასი.

მე მოგიყვანთ რამდენიმე შაგალითს მაღაროელთა მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში წინათ და ახლა.

ყოფილი მეფის რუსეთის ქვახახშირის მრეწველობა ეკუთვნოდათ რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტებს. შრომის პირობები მაღაროებში არაადამიანური იყო. მაღაროები, როგორც წესი, არ იყო მექანიზირებული, სამუშაო დღე 12-13 საათს გრძელდებოდა, ხელფასი ღატაკური იყო, შრომის უშიშროება და შრომის დაცვა არ იყო, რადგანაც მეფის მაშინდელი სამთამადნო ინსპექცია ფარულად კაპიტალისტების კმაყოფაზე იყო. მაღაროელები მიწურებსა და ქოხებში ცხოვრობდნენ, სადაც ძალისათვისაც კი ნელი იყო გაძლება.

პროლეტარულმა რევოლუციამ და სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში ძირფესვიანად შესცვალეს ყველა მშრომელთა შრომისა და ცხოვრების პირობები. რევოლუციის შემდეგ მაღაროები ხალხის საკუთრებაა. ალარ არიან ისინი, ვინც არ მუშაობს, ექსპლოატაციის ხარჯზე ცხოვრობს.

ახლა სამთამადნო მუშების შრომა სსრ კავშირში ისე, როგორც ყველა სხვა მშრომელისა, საკატორგო შრომიდან გადაიქცა ხალისიან შრომად, ისეთ შრომად, რომელსაც ადამიანისთვის მოაქვს პატივისცემა და სახელი, რადგანაც ჩვენი მაღაროელები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავისი სოციალისტური სახელმწიფოსათვის, სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისა და გაფურჩქვნისათვის, საკუთარი თავისათვის.

აი საიდან მომდინარეობს მძლავრი საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება, აი რატომ იბადებიან ჩვენს ქვეყანაში ყოველდღე შრომის გმირები და გმირი ქალები.

სსრ კავშირის მუშათა კლასი, როგორც ვეებერთელა ქვეყნის ხელმძღვანელი, იმ ქვეყნისა, რომელიც გარშემორტყმულია კაპიტალისტური სახელმწიფოებით, ზრუნავს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაში მზად იყოს თავდაცვისათვის. მუშათა კლასმა მოაწყო მძლავრი, ტექნიკურად აღჭურვილი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სსრ კავშირის მუშათა კლასი, სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ეს თავდასხმა, შესძლებს არა მარტო მოიგერიოს, არამედ კიდეც გაანადგუროს ყოველი მტერი.

მაგრამ თუ სსრ კავშირის მუშათა კლასი მთელი ძალით აყენებს საკითხს პროფკავშირთა საერთაშორისო ერთიანობის შესახებ, საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის შესახებ, იგი ამ შემთხვევაში გამოდის არა თავისი სისუსტის მიზეზებიდან, არამედ ინტერნაციონალური მოვალეობის გრძნობებიდან.

სსრ კავშირის მუშათა კლასი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო მუშათა კლასი, და მათ რიცხვში დიდი ბრიტანეთის მაღაროელებიც, სულითა და გულით ემხრობიან ესპანეთისა და ჩინეთის გმირულად მებრძოლ ხალხებს, რომ ისინი მხარს უჭერენ პროფკავშირების საერთაშორისო ერთიანობას, რომ ისინი მხარს უჭერენ ყველა ქვეყნის მუშებთან და მათ რიცხვში სსრ კავშირის მუშათა კლასთანაც მუდმივი ძმური კავშირის დამყარებას.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დაამტკიცა „ეროვნებათა კოდექსის“ პროექტი

პრაღა, 27 ივლისი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ვიწრო შემადგენლობამ, რომლის სხდომაც გუშინ შესდგა, საბოლოოდ დაამტკიცა „ეროვნებათა კოდექსის“ პროექტი და კანონპროექტები „ენების შესახებ“ და „ადმინისტრატიული მმართველობის რეფორმის შესახებ“. ყველა ეს სამი დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის პროგრამას სუდეტის გერმანელთა პარტიასთან და სხვა პარტიებთან მოლაპარაკების დროს.

„ეროვნებათა კოდექსი შესდგება შესავალი ნაწილისაგან, სადაც მოცემულია ჩეხოსლოვაკიის ეროვნული პოლიტიკის საერთო დახასიათება, და 13 კარისაგან.

კოდექსის პირველი კარი იმეორებს ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციაში ფიქსირებულ პრინციპს კანონის წინაშე რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა სრულუფლებიანობის შესახებ რასიულობისა და ნაციონალური კუთვნილების მიუხედავად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური პუნქტი, რომელიც მკაცრი სასჯელის შიშით ჰკრძალავს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ამათუიმ ეროვნებისადმი კუთვნილებისათვის ვისმეს დევნას.

მეორე კარი ეხება ნაციონალური კუთვნილების საკითხს, რაც ძირითადად სალაპარაკო ენით განისაზღვრება.

მესამე და მეოთხე კარები შეიცავენ დებულებებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ ეროვნებათა შორის. განსაკუთრებული პუნქტით აკრძალულია ერთი ეროვნებიდან მეორეში გადასვლა, ბავშვებისათვის სამშობლო ენაზე სწავლის უფლების წართმევა და სხვ.

5 და 6 კარები ეხებიან სახელმწიფო აპარატის მოსამსახურეთა შემადგენლობის პროპორციული პრინციპის საკითხს ეროვნული ნიშნის მიხედვით. (თანახმად კოდექსისა, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში უნდა იყოს გერმანული ეროვნების პირთა 23 პროცენტი). არჩევნები რესპუბლიკის საკანონმდებლო დაწესებულებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში აგრეთვე ტარდება ამათუიმ ეროვნების პირთა რაოდენობის პროპორციულად. პროპორციულობის პრინციპი წესდება აგრეთვე იმ საწარმოებში მიღებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნიან, საზოგადოებრივ სამუშაოთა ჩატარების დროს და იმ თანხების განაწილებისას, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტით გაიცემა კულტურულ მშენებლობაზე, სოციალური უზრუნველყოფისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის და სხვ.

მე-7, 8. 9, 10 და მე-11 კარები შეიცავენ ეგრეთწოდებული კულტურული ავტონომიის საკითხს. კოდექსი, კერძოდ, ითვალისწინებს ყველა ტიპის სასწავლებლების ქსელის გაფართოებას ჩეხოსლოვაკიის ეროვნებათა სამშობლო ენაზე და კულტურული მშენებლობის განვითარებას ყველა დარგში.

უკანასკნელი კარი მიძღვნილი აქვს კოდექსის განხორციელების კონტროლს.

კანონპროექტი „ენების“ შესახებ პარლამენტის განსახილველად შეტანილი იქნება კოდექსისაგან განცალკევებით, რადგან ამ კანონპროექტის მისაღებად საჭიროა, რათა ორივე პალატის წევრთა ორმა მესამედმა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. კანონპროექტი ადასტურებს, რომ ჩეხოსლოვაკიური ენა არის რესპუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო ენა. ამავდროულად იგი უზრუნველჰყოფს თვითეული ეროვნებისათვის სამშობლო ენის სწავლების უფლებას ყველა სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვის დროს, რომლებიც თავის მხრივ ვალდებულნი არიან პასუხი გასცენ ამ ეროვნების ენაზევე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მესამე კანონპროექტი „ადმინისტრატიული მმართველობის რეფორმის შესახებ“. მთავრობის პროექტით შემოღებულ იქნება ჩეხოსლოვაკიის ადმინისტრატიული მმართველობის ორგანული ფორმა: ერთი მხრივ, მმართველობა განხორციელდება ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ — მთავრობის მიერ, მეორე მხრივ, პროვინციული, საოლქო და მუნიციპალური ორგანოების მიერ. ჩეხოსლოვაკიის პროვინციებში — ჩეხიაში, მორავიაში, სილეზიაში, სლოვაკიაში და იმიერ კარპატის უკრაინაში ადგილობრივი ხელისუფლების ძირითად ორგანოდ ითვლებიან არჩევითი ლანდტაგები (ადგილობრივი პარლამენტები), რომელთაც ენიჭებათ აგრეთვე მთელი რიგი საკანონმდებლო უფლებები.

უკანასკნელი კანონპროექტის განსახორციელებლად მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს ლანდტაგების არჩევნები.

ყველა სამივე დოკუმენტი უკვე გადაეცა სუდეტელ-გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობას. მოლაპარაკება ამ დოკუმენტების საფუძველზე უახლოეს დღეებში დაიწყება. ამ დოკუმენტების სრული ტექსტი ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

8 საბჭოთა მეზღვაური სამშობლოში გამოემგზავრა

პარიზი, 27 ივლისი (საკდესი). 8 საბჭოთა მეზღვაური გემ „სმიდოვიჩის“ ეკიპაჟიდან, რომლებიც გენერალ ფრანკოს ფაშისტურ ჯურღმულებიდან დაიხსნეს, დღეს პარიზიდან გაემგზავრა გენტს (ბელგია). აქედან გემ „ძერჟინსკით“ ისინი გაემგზავრებიან სამშობლოში — საბჭოთა კავშირში.

პარიზის ვაგზალზე საბჭოთა მეზღვაურები გულთბილად გააცილეს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში ამხ. სურიცმა და პარიზის საბჭოთა კოლონიის წარმომადგენლებმა.

ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადი წითელ მოედანზე მოსკოვში 1938 წ. 24 ივლისს.
სურათზე: საქართველოს სსრ ფიზკულტურელთა სასპორტო-საჩვენებელი გამოსვლები
ფოტო ს. ლოსკუტოვისა („სოიუზფოტო“)

საქფილგანთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
ვერა ესტრადა
ალექსანდრეს პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

29—30 ივლისს, ტალონი № 59—60
ლენინგრადის და მოსკოვის ესტრადის უკანასკნელი გასტროლები
ანა ორლოვას მონაწილეობით
დაწერილებით აფიშებში. დასაწყისი 9 ს. 30 წ.
ვისაც საქფილეგანთის მუდმივ ბილეთებზე მე-2 შესატანი გადახდილი არ ექნება, მას თეატრში არ შეუშვებენ.

29—30 ივლისს
ვოკალური ანსამბლი კომპოზიტორ ცაგარეიშვილის ხელმძღვ.-ბით
კინოში ხმოვანი ფილმი
ესტრადაზე შესვლა ბაღის მესასვლელი ბილეთებით.

ანონსი: 7 აგვისტოდან ოპერეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. 50

დღეს სახელმწიფოს თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	ხმოვ. მხატვრ. ფილმი **შჩორსი კაპი** დასაწყისი 7 ს.
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	საზაფხულო და სახაჭირო შენობ. ახალი ხმოვანი კომედია **დათვი** დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91	საზაფხულო შენობაში **ჩინეთი წინააღმდეგობას უწევს, ალამახების ხეობა** დასაწყ. 9 ს. საზამთ. შენ. **პუშგაჩოვი** დასაწყ. 7-30, 9-30, 10-30
რ. ლუქსემბურგის სახ ჯორჯიაშვილის, 8	ახალი ხმოვანი კომედია **დათვი** სეანს. დასაწყ. 7, 8-30, 9-30, 11.
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	ხმოვანი ფილმი **ჰატარა დედა** დასაწყ. 6-30
26 კომ სახ (სახამთ შენ.) მაყამიანის მოედანი	საზაფხულო და სახამთრო შენობებ. ხმოვანი ფილმი **ჰატარა დედა** დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ., № 9	ხმოვანი ფილმი **მეგობრები ბანაკიდან** დასაწყ. 6-30
კომინტერნი (სახაფხ.) ბრძოლის ქ. № 222	საზღვარგარეთული მხატვ. ფილმი **კატერინა** დასაწყ. 9 ს
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	თეატრი დახურულია რემონტის გამო.

ესპანეთის ფრონტებზე

რესპუბლიკელთა წარმატებები აღმოსავლეთის ფრონტზე

პარიზი, 27 ივლისი (საკდესი). ესპანის საagენტოს კორესპონდენტი, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე იმყოფება იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ჯარები სტეხენ რა მოპირდაპირის წინააღმდეგობას, კვლავ აღრმავებენ თავიანთ შეტევას. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკელები აღმოსავლეთის ფრონტზე განსაკუთრებულ ტაქტიკას იყენებენ. ამ ტაქტიკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შეტევის შეუხებლად შემოუარონ მოპირდაპირის უფრო ძლიერი წინააღმდეგობის პუნქტებს, შემდეგ გარს შემოერტყნენ მას და საბოლოოდ გაანადგურონ ეს პუნქტები.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკელთა ჯარის ოპერაციების სისწრაფემ მოწინააღმდეგის რიგებში არევდარევა გამოიწვია. რესპუბლიკელები ეწევიან რა მეამბოხეთა ჯგუფებს, რომლებიც მოწყვეტილნი არიან მტრის მოწინავე ნაწილებისაგან, ტყვედ მიჰყავთ ისინი. ტყვეთა რიცხვი უკვე 3.500 კაცს აღწევს.

ინგლისის პრესის გამოხმაურება

ლონდონი, 27 ივლისი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბარსელონელი კორესპონდენტი აღმოსავლეთის ფრონტიდან გაგზავნილს თავის დეპეშაში იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ჯარების მიერ დაწყებული შეტევის შედეგად აღმოსავლეთის ფრონტზე მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ. რესპუბლიკურმა ჯარმა ხელთ იგდო ტყვეებისა და სამხედრო მასალის დიდი რაოდენობა, რასაც მეამბოხეები სტოვებენ უკანდახევის დროს.

„დეილი მეილის“ ბარსელონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ჯარი მიუახლოვდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს —განდესს.

ფეხბურთი

„დინამო“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 4:0

27 ივლისს მოსკოვში ჩატარდა ქვეყნის საუკეთესო ათეი ფეხბურთის სსრკ პირველობაზე. თამაშობდნენ ლენინგრადის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

ლენინგრადის ცენტრ-თავდამსხმელს ალეშა გააქვს პირველი ბურთი „სპარტაკის“ კარში. ისარგებლეს რა „სპარტაკის“ მეკარის კვასნიკოვის შეცდომით, ლენინგრადელებს დანარჩენ 10 წუთში კიდევ გააქვთ 2 ბურთი და პირველი ტაიმი დათავრდა 3:0 დინამოელების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში სპარტაკელებმა კვასნიკოვის მაგიერ კარებში დააყენეს გოლოვინი და გაიარეს სასტიკი იერიშები, მაგრამ ლენინგრადელებმა იშვიათი ოსტატობით მოიგერიეს ყველა იერიში და გადავიდნენ კონტრ-შეტევაზე, რის შედეგადაც გაიტანეს კიდევ მეოთხე და უკანასკნელი ბურთი. მატჩი დამთავრდა „ლენინგრადის „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებით —ანგარიშით 4:0.

ამრიგად, ლენინგრადის „დინამოს“ 14 თამაშიდან აქვს 21 ქულა. მან საგრძნობლად განიმტკიცა პოზიცია პირველი ადგილის მოსაპოვებლად.

შ. გოგოლაშვილი

ამინდი

27 ივლისს დასავლეთ საქართველოში იყო მშრალი ამინდი მცირე მოღრუბლულობით, ჭროდა აღმოსავლეთის სუსტი ქარი, სურამის უღელტეხილზე ღამით — მძლავრი ქარი. დღისით ყველაზე მაღალი ტემპერატურა (36 გრადუსი) აღინიშნული იყო ქიათურაში, ყველაზე დაბალი (27 გრადუსი) ბულგრში. ქუთაისში აღნიშნული იყო 33 გრადუსი, სოხუმში — 31 და ბათუმში — 28 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში იდგა მშრალი ამინდი მცირე მოღრუბლულობით, გუდაურში მოვიდა წვიმა. ჭროდა აღმოსავლეთის მძლავრი ქარი. ყველაზე მაღალი ტემპერატურა დღისით აღნიშნული იყო ყარაიაში (35 გრადუსი). ყველაზე დაბალი—გუდაურში (19 გრადუსი).

28 ივლისს, დილის 2 საათზე, თბილისში ტემპერატურა 33 გრადუს აღწევდა.

დღეს თბილისში ამინდის საგრძნობი ცვლილება მოსალოდნელი არაა. უმეტესად იქნება მოწმენდილი, მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 19 გრადუსიდან ღამით 33 გრადუსამდე დღისით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროკაბანდისტისა და აგიტატორის სახლში

29 ივლისს

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „მუშათა კლასის დიქტატურა, როგორც უკლასო საზოგადოების აშენების იარაღი“. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—ინდივიდუალური კონსულტაციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. შ. ჯაფარიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. ათაბეგოვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული
ქირეული პრესის მუშაკთა კურსების
მსმენელთა ორრიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 16)
დღეს, 29 ივლისს, საღ. 8 ს.
მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადებნენ დაუგვიანებლივ.

მიმდინარე 1938 წ. ფარმაცევტიული სკოლის კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ

ყველა ფარმაცევტი, ვინც დაამთავრა ფარმაცევტიული სკოლა 1938 წ. და მიიღო პროვიზორის თანაშემწის ხარისხი, ვალდებულია გამოცხადდეს დანიშვნის მისაღებად ა. წ. 1-ლ აგვისტოს, საფთიაქო სამმართველოს იმ განყოფილებებში, სადაც განაწილების მიხედვით გათვალისწინებულია მათი გაგზავნა.

განყოფილებათა ამართველები ვალდებული არიან გადმოგზავნონ მთ საათფ. სამმართველოში იმ პირთა სია, რომლებიც არ გამოცხადდნენ დანიშნულ დროს,—მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მისაღებად.

1717 **მთავარი სააფთიაქო სამმართველო.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII. ქაღალდის ზომა 62×94 1/16. ნაბეჭდი თაბახი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,4. ტირაჟი 35.000. შეკვეთა № 1403. ფასი 10 კაპ.

ხელისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სახ. დირექციისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის 3—57—61, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, მწერალთა ფრაქციის 3—73—24; პოეზიის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81; სტამბის დირექტორისა—3—27—04. ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული № 1403